№ 2989
პარასკევი,
27 იანვარი

ცნობის ფურცელი

№ 2989
პარასკევი,
27 იანვარი

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის [illegible] ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

„ნაპერწკლის" რედაქციისაგან.

ზოგიერთი მოსაზრებისა და ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო სატირიული ჟურნალი კარრიკატურებით „ნაპერწკალი" ჯერ არ გამოვა.
ვისაც ფული აქვს შემოტანილი, ჩაეთვლება ჟურნალის გამოსვლის დღიდან.

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:
კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 50 კაპ.
საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა ახატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი „ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".
ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

შეერთებული საოპერო ამხანაგობა არტისტებისა, ორკესტრისა, ხოროსა და ბალეტისა აცხადებს, რომ დღეს, ნაშუადღევს 1 საათზე, ალექსანდრე-ნეველის ტაძარში გადახდილი იქნება პანაშვიდი რუსულ ოპერის არტისტ-ქალის

ნ ა. პაპაიანის

სულის მოსახსენებლად. (1—6—1)

„ცნობის ფურცელზე"
ხელის მოწერა მიიღება: ჭიათურაში ბ-ნ სოფ. ტარიელიშვილთან ჭიათურის საურთიერთო კრედიტის ბანკში. იქვე იყიდება ცალკე ნომრები. ქუთაისში ბ-ნ ის. კვიცარიძესთან. იქვე იყიდება ცალკე ნომრები.

ვეძებ ოთახს. შეიძლება მოწყობილებით (10—12 მან.) პირობებისთვის მიმართეთ „ცნობის ფურცლის" კონტორას. (1—24—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობის
განცხადება
მიუხედავად იმისა, რომ 20 იანვარს შესრულდა ვადა, რომელიც ტფ. დროებით გენერალ-გუბერნატორმა დანიშნა სახლისპატრონთათვის და როდემდის ყველას მათ მეეზოვეები უნდა დაექირავებინათ,—ბევრს დღესაც არა ჰყავს მეეზოვე; ამიტომ ტფილისის ქალაქის გამგეობა უცხადებს ყველა ამ სახლის პატრონთ ან მათ მოურავთ, თუ ამ განცხადების დაბეჭდვის შემდეგ სამის დღის განმავლობაში არ დაიქირავეს მეეზოვეები, კანონიერ პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი. (ნ. 1—1)

ტფილისის
გუბერნატორი
საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1905 წლის 2 დეკემბრის უმაღლესის ბრძანებით 1906 წელს არ მოხდება სასწავლოდ მოწვევა სათადარიგო ჯარისკაცებისა. (2—2)

ქუთაისის სათავად-აზნაურო
გიმნაზიაში
სწავლა 16 იანვრიდან დაიწყო. სწავლის ფასი უეჭველად 1-ლ თებერვლამდე უნდა წარმოადგინონ. (ნ. 3—3)

გ. გადილიას წიგნის მაღაზიაში
იყიდება
მრავალი თანამედროვე წიგნები რუსულ და ქართულ ენებზე.
წიგნის მაღაზიის ადრესი: ტფილისი კიროჩნის ქ. № 7. (10—3)

ა. პ. შულგინა-მესხი
გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

ექიმი
მ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს.
კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვერენიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე, საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (31—6.—23)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკომიკროსკოპიული გამოკვლევა (19—4)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (51—368—50)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

კბილის ექიმმა
ი. ზ. კანდელაკმა
განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ექიმი
მ. პ. ბეზირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ (თვ.—28)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდისს კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

შიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. მ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი, ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ნ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. ძიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
ბ. ა. ხიიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—42)

ტფილისი, 27 იანვარი.

დღევანდელი მომენტი.

მიიხედ-მოიხედეთ გარშემო და თქვენ დაინახავთ, რომ ყველგან თითქმის ისეთივე სიჩუმე და მყუდროებაა, როგორიც ამ ორის წლის წინად იყო, ვიდრე განმათავისუფლებელ მოძრაობის ტალღა შეარყევდა ბიუროკრატიას. ხალხი აღარა სჩანს; იმისი აზრი, იმისი გრძნობა გარეგანს გამოხატულებას ვერსად ვერა ჰპოვებს; პოლიცია და ბიუროკრატიის სხვა და სხვა, ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი მოხელენი კვლავინდებურად გაბატონდნენ; ყველაფერი მათს ბრძანებას ემორჩილება; თავისუფალ ცხოვრების და მოქმედების მაჯა აღარა სცემს, ხალხის ხმა მისწყდა და ძალუმად აღარ გრგვინავს მოწოდება განახლებისადმი; ოქტომბრის თავისუფლებიდან ფრჩხილის ტოლიც კი არაფერი გადარჩენილა ხალხის ძლიერების მოსაგონებლად; წინანდელ უკიდურეს მემარცხენე პარტიათა ბრძოლის ნაცვლად ეხლა უკიდურესი მემარჯვენენი იბრძვიან და იყოფენ შუაზე ბატონობის უფლებას; ყბად აღებული და წყალ წაღებული ბიუროკრატიაც კი, თუ მთლად არა, იმისი ერთი ნაწილი მაინც ნდობის უღირსად არის აღიარებული მტკიცე რეაქციონერებისაგან, რომელნიც თითქოს დღეს-ხვალ სამხედრო დიქტატურის შემოღებას აპირობენ...

დიახ, მდგომარეობა შეიცვალა; ოქტომბრის რუსეთი და იანვრის რუსეთი ისე უცქერიან ერთმანეთს, როგორც თხა და მგელი. თავისუფლების დღესასწაულს საშინელი რეაქცია მოჰყვა; უნებურ სტუმრებისაგან განთავისუფლებული საპყრობილეები ხელახლა დაიტვირთნენ, ხელახლა გაივსნენ. ჯალათების დასვენებული ხელი წინანდელზე ასჯერ და ათასჯერ სასტიკის ენერგიით ჰკვეთს თავისუფლების მოტრფიალეებს; ბრძანებითი სისტემის მოშლილი მექანიზმი ეხლა უსისტემოდ ბრძანებლობს და იმის წინაშე წინანდელზე ასჯერ და ათასჯერ მეტის შიშითა თრთის რუსეთის ბედშავი ქვეშევრდომი. უსამართლობის შავი ყორანი, ერთ-ხან განდევნილი და უარყოფილი, ისევ თავს დაგვტრიალებს და წინანდელ გაფრთხილების ნაცვლად ეხლა პირდაპირ თავში გვიკაკუნებს თავის უსამართლო ნისკარტს.

განა გათავდა, მორჩა ყოველივე და ძველმა რეჟიმმა საბოლოოდ გაიმარჯვა თავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხზე? განა უქმად, ამაოდ დაინთხა თავგანწირულ ბელადების სისხლი? განა იანვრის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის და კიდევ იანვრის უზომო მსხვერპლმა ვერ გასჭრა და ისტორიის ღმერთს წაღმა ვერ გადაბრუნებინა უკუღმა დატრიალებული ჩარხი?! ან იქნება, დღევანდელი სისასტიკე ბიუროკრატიისა სულთმობრძავის უკანასკნელი ტორტმანია და სწორედ ამიტომ იდრეკს ხალხი იმის წინაშე მუხლს, სწორედ ამიტომ იხრის თავს?..

მმართველობამ დეკემბრის გასულს საჯაროდ გამოაცხადა, არაფერს არ დავზოგავ, არაფერს არ დავხედავ, არაფერს არ ვიუკადრისებ და რევოლიუციას-კი გავსრეს, სადაც უნდა გამოჩნდეს იმასი ნიშნებიო. ამ განცხადებით დაიწყო მოქმედება რეაქციამ და, ნამდვილი უნდა ვთქვათ, პირნათლადაც შეუდგა დაპირების აღსრულებას. არც სიბრალული, არც სათნოება, არც სიმართლე და არც არაფერი სხვა არ დაუზოგავს ხალხის დასამორჩილებლად, ძველის ბატონობის ან, როგორც რეაქციონერები ამბობენ, წესიერების აღსადგენად. ოქტომბრის შემდეგ, ქალაქი და სოფელი, ქუჩა და სახლი, მოხელე და თავისუფალი მოქალაქე, ყველა ერთხმივ, ყველა ერთსულ უცხადებდა ერთგულებას რევოლიუციას და, პირიქით, ასეთისავე ერთსულოვანებით და ერთგულებით უცხადებდა უნდობლობას ძველს რეჟიმს. რეაქციის მიზანი იყო, გაეტეხნა გათამამებულ ხალხის სარევოლიუციო ენერგია, ამოეფხვრა იმის გულიდან თანაგრძნობა რევოლიუციისადმი და სამაგიეროდ ძველის რეჟიმის სიყვარულით გამოეტენა იგი. ბიუროკრატიამ უკვე წარსულის წლის თებერვალში იგრძნო, რომ იმის ბატონობას ზნეობრივი ავტორიტეტი აღარა აქვს და ჯერ ისევ მაშინ დააპირა ხალხის წარმომადგენლების მოწოდება ზნეობრივ ძლიერების მოსაპოვებლად. 1905 წლის განმავლობაში ბიუროკრატიამ სულ ერთიან დაჰკარგა ის ფრჩხილის ტოლი მორალური ძალაც-კი, რომელიც მას თებერვალში მოეპოვებოდა, და დეკემბრის გასულს ხომ განხორციელებული ფიზიკური ძალა-ღა იყო.

რევოლიუციამ ხალხის უზომო, თავგანწირული თანაგრძნობა მარტოოდენ ზნეობრივ ძალის მეოხებით შეიძინა, რეაქციამ-კი ფიზიკურ ძალით დააპირა ამ თანაგრძნობის მოკვლა. დეკემბერში ამგვარად საშინელი ბრძოლა, სასტიკი ომი ასტყდა მორალურ და ფიზიკურ ძალთა შორის. როდესაც ორი ფიზიკური ძალა ებრძვის ერთმანეთს, მაშინ ადვილი გამოსაცნობია, ვინ იმარჯვებს და ვინ მარცხდება, თუმცა ზოგჯერ ესეც კი გაძნელდება ხოლმე. მაგრამ, როდესაც ერთის მხრივ ფიზიკური ძალა გამოდის ბრძოლის ველზე და მეორეს მხრივ მორალური, მაშინ დიდმა, ძალიან დიდმა დრომ უნდა გაიაროს ბრძოლის შემდეგ, ვიდრე იმისი ჭეშმარიტი დასკვნა და ნამდვილი შედეგი გამოირკვევა.

ადამიანის გრძნობასაც თავისი საზღვარი აქვს. ადამიანის ზნეობრივს ბუნებას მხოლოდ იმ დრომდე ძალუძს პირდაპირი წინააღმდეგობა გაუწიოს ფიზიკურს ძალადობას, ვიდრე უკანასკნელი თავის მოქმედებას იმდენად არ გაზრდის, იმდენად არ გააფართოვებს, რომ გრძნობა ველარ იტევს და ველარ ასდის ამ ძალადობას. როცა სისასტიკე და სიმკაცრე ფიზიკურის ძალისა განსაზღვრულ სიმაღლეს გადასცდება, მაშინ გრძნობა ყრუვდება, თითქოს სრულიად ისპობა და განურჩევლად ეკიდება თავზარ დამცემ ამბებს. წრეს გადაცილებული უბედურება უტყვია, იგი გრძნობიერების ცრემლს არა სწურავს თვალიდან, იგი აღშფოთების გრძნობას არა ჰქმნის ადამიანის გულში.

რევოლიუციის ზნეობრივი ძალა დაყრუვდა და გაჩუმდა, რადგან ადამიანურ გრძნობას არ ძალუძს ანგარიში გაუწიოს უზომოდ გაძლიერებულს და გაფართოვებულს სისასტიკეს. ხალხი, რომელიც გუშინ აღტაცებული ახმაურებდა ქვეყანას და ფიცსა სდებდა, უმალ უკანასკნელი წვეთი სისხლი დაენთხია, ვიდრე ძველს წყობილებას დაემორჩილებოდა, დღეს თითქო რეაქციონერებს ემორჩილება და თითქო გულცივად უცქერის ძველის წესების აღდგენას ამ აზრით, თუ გნებავთ, რეაქციამ გაიმარჯვა; მაგრამ ვინც ოდნავ მაინც იცნობს ადამიანის ზნეობრივ ბუნებას, იმას ეს გარეგანი სიწყნარე, ეს გარეგანი მორჩილება და გულცივობა ვერ შეაცდენს; იმას კარგად ესმის, რომ ხალხის გარეგანი გულცივობა გადაფარებულია [illegible] გულის სიღრმეში მიმდინარე პროცესს უზომო სიძულვილის მოგროვებისას. ეს პროცესსი მალე დამთავრდება, ხალხის გული სიანგარიშებს ეხლანდელ სისასტიკეს, გაანგრევს გულცივობის ფიცარს და ისეთის მრისხანებით ამოხეთქავს ხალხის გულში მოგროვილი სიძულვილი, რომლის მსგავსი ჯერ ისტორიას არაფერი უნახავს.

მაშ, გათავდა თუ არა მოძრაობა?

მოძრაობა კავკასიაში

მოძრაობის დასაწყისში ყველას ეგონა, რომ კავკასია განმათავისუფლებელ მოძრაობის ავანგარდში სდგასო; ყველა დარწმუნებული იყო, რომ კავკასია, თუ ბედი არ დასწყევლის, სხვაზე ადრე მიაღწევს მიზანსაო. სასტიკმა სინამდვილემ სხვა სთქვა. მართალია, მოძრაობა ძლიერი იყო, მაგრამ უნარი ვერ გამოიჩინა, ბოლომდის ვერ მივიდა და იძულებული გახდა შეფერხებულიყო, შეჩერებულიყო რეაქციონურ ძალის წინაშე. რათ მოხდა ესე? რატომ არ მოიტანა მოძრაობამ სასურველი ნაყოფი? მრავალი იყო მიზეზი, და მხოლოდ დღეს, მწარე გამოცდილების შემდეგ ნათლად დავინახეთ ეს მიზეზები.

მოძრაობისთვის მომზადებული არა ყოფილა კავკასია. აი, მწარე დასკვნა და უმთავრესი მიზეზი მოძრაობის შედარებითის უნაყოფობისა.

პირველად გამოიღვიძა დასავლეთმა საქართველომ. პირველად იქ ჩაიყარა საძირკველი დღევანდელ მოძრაობისა. ხასიათი ამ მოძრაობისა იყო უმთავრესად ეკონომიური. გაღარიბებულ-გაღატაკებული გლეხი დასავლეთ საქართველოსი, მოკუნტული ერთ მუჭა მიწაზე, ბატონის და სახელმწიფოსთვის ოფლის მღვრელი, უპირველესად საჭიროებდა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას. დასავლეთ საქართველოში სინათლის შემტანმა მუშაკებმაც უპირველესად გლეხის ყურადღება მიიქციეს იმის ეკონომიურ დაბეჩავებას და გაუთვალისწინეს მახლობელი ზომები განთავისუფლებისა. ქადაგებამ მშვენიერი ნიადაგი მოიპოვა და აღმოცენდა მძლავრი მოძრაობა, რომელსაც ეკონომიური სარჩული დაედო. მახლობელი მიზანი ჩრდილავდა მოშორებულს, პოლიტიკურს, თუმცა არა ნაკლებ მნიშვნელოვანს. მაგრამ დღის საქმე და გარემოება მოითხოვდა უპირატესობა დასთმობოდა ეკონომიურ ინტერესებს. პირველი იმიტომ, რომ ეკონომიურ ინტერესების შეგნება გაცილებით ადვილია, ვიდრე პოლიტიკურისა, მეორე—ეკონომიური ბრძოლა ადვილია, ვიდრე პოლიტიკური და, მესამე, იმიტომ, რომ გარემოება არ უწყობდა ხელს პოლიტიკურ ინტერესების წინ წამოყენებას, რადგან რუსეთშიაც არავინ ფიქრობდა ახლო დროისთვის რაიმე პოლიტიკურ ცვლილებაზედ.

დაიწყო იაპონიასთან ომი. გამოჩნდა სახელმწიფოს ორგანიზმის ღრმა ჭრილობანი. ხალხმა გაიღვიძა და აღსდგა თავისუფლებების მოსაპოვებლად. რუს-იაპონელთა ომმა დააჩქარა აღორძინება პოლიტიკურ საკითხისა. განმათავისუფლებელი მოძრაობა შეიღება პოლიტიკურის ფერით.

რუსეთის ცხოვრების მიერ წამოყენებული მიზანი მოულოდნელად დაატყდა თავს კავკასიის უფრო მომზადებულს ნაწილს. ერთის წლის წინად არავინ ფიქრობდა, რომ ცხოვრება წამოუყენებდა საბოლოოდ გადასაწყვეტად რთულს და ძნელს პოლიტიკურ საკითხს. ამიტომ არავინაც არ ემზადებოდა იმისთვის. დრო კი არ იცდიდა და დაჟინებით ითხოვდა გადაწყვეტას. დაიწყო აჩქარებული მუშაობა, შეძლებისადაგვარი მზადება. რასაკვირველია, საჩქაროდ გაკეთებულ საქმეს არ მოჰყვა სასურველი შედეგი. პოლიტიკურ ბრძოლისათვის არ ვარგოდა მარტო ის იარაღი, რომელსაც ხმარობდნენ ეკონომიურ ბრძოლაში. ამას დაუმატეთ ისიც, რომ პოლიტიკური იდეალი, საჩქაროდ შეტანილი ხალხის ცნობიერებაში ვერ გაიდგამდა ღრმა ფესვებს, ვერ იქნებოდა ცხოველმყოფელი, და, მაშასადამე, ვერც გახდებოდა საკმაო მძლავრ იმპულსად მედგარ ბრძოლისთვის, რომელსაც მოითხოვს პოლიტიკური თავისუფლება.

ყველა ამან იჩინა თავი და სასურველად ვერ დააბოლოვებინა ხალხს ატეხილი ბრძოლა.

უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო მოძრაობის საქმე ქართლსა და კახეთში. მაშინ როდესაც დასავლეთ საქართველოში მოძრაობამ უკვე შეგნებული ხასიათი მიიღო, ქართლსა და კახეთში ჯერ ნასახიც არ იყო რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღამ აქეთაც გადმოხეთქა და ხალხი გააღვიძა. დაიწყო აჩქარებული მუშაობა. დრო მოითხოვდა სწრაფობას და ამიტომ ქართლსა და კახეთში მოძრაობას დაედო სტიქიური ხასიათი. იგი უფრო წააგავდა აფეთქებას, ვიდრე შეგნებულ მოძრაობას. ამ მხარეებშიაც ეკონომიურმა საკითხმა დაიჭირა უპირველესი ადგილი და დაჩრდილა პოლიტიკური, რასაკვირველია, მოძრაობამ ქართლსა და კახეთში უფრო ნაკლებად იჩინა თავი, ვიდრე დასავლეთ საქართველოში.

აღმოსავლეთმა კავკასიამ, სადაც ბინადრობენ მომეტებულ ნაწილად თათრები და სომხები, თითქმის სრულიად არ მიიღო მონაწილეობა განმათავისუფლებელ მოძრაობაში. პირიქით, იგი ტორმოზად გადაიქცა. სახელმწიფო კრიზისმა გამოაღვიძა ბნელი ძალები ორისავე მეზობელ ხალხისა, გაამწვავა ეროვნული შუღლი და მიუსია ერთი ერი მეორეს. დაიწყო სამარცხვინო სისხლის ღვრა, რომელმაც ორ შესამჩნევ ძალას მხარი აქცევინა განმათავისუფლებელ მოძრაობისაგან. მაშინ, როცა აღმოსავლეთი კავკასია სისხლითა რწყავდა სამშობლო მიწას მტრის გასახარელად, დასავლეთ კავკასია თავგანწირულად იბრძოდა თავისუფლებისთვის მთელი თავის ძალით. თქმა არ უნდა, რომ ეს ძალა გაორკეცდებოდა, რომ მიმატებოდა მეზობელ ხალხის ძალაც, მაგრამ ეს არ მოხდა.

შესამჩნევად შეუშალა ხელი მოძრაობას იმ გარემოებამაც, რომ გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა მშრომელ გლეხს, რადგან დიდი უმრავლესობა მუშა ხალხისა მიჯაჭულია მიწაზე. სოფელს ეკუთვნოდა უკანასკნელი სიტყვა, მაგრამ ვერა სთქვა იგი. ვერა სთქვა იმიტომ, რომ ბრძოლაში იმის წინააღმდეგ წავიდა მტერთან ერთად იმისი ეკონომიური მტერი. მოძრაობამ, აღმოცენებულმა ეკონომიურ ნიადაგზე, იმ თავითვე პირისპირ დააყენა გლეხი და მემამულე და ხელი შეუშალა პოლიტიკურ თავისუფლებისთვის ბრძოლაში, რადგან თავისი ძალა არ მიუმატა მშრომელ გლეხის ძალას.

არა ნაკლებ შეამცირა მოძრაობის ნაყოფი პოლიტიკურ საკითხის მოულოდნელმა წამოყენებამ. მშრომელ ხალხის იდეოლოგებმა სხვადასხვა რიგად დასახეს კავკასიის პოლიტიკური იდეალი. სხვა-და-სხვაობამ გამოიწვია არა მარტო თეორეტიული ბრძოლა, არამედ პრაქტიკულიც. ამ გარემოებამ დაანაწილა მებრძოლი ძალები, რომელნიც ისეც არ იყვნენ საკმაონი, ხელი შეუშალა იმათ შეერთებას და, მაშასადამე, უფრო ნაყოფიერ ბრძოლას.

ამ გვარად ირკვევა მომავალ მოქმედების გეგმა უპირველეს ყოვლისა საჭიროა საბოლოოდ გადაწყვეტა პოლიტიკურ საკითხისა, რათა მებრძოლთ დაესახოთ საერთო მიზანი; საჭიროა წინ წამოაყენონ პოლიტიკური საკითხი და იმას დაუკავშირონ ეკონომიური; საჭიროა ხალხის პოლიტიკურად გათვითცნობიერება; საჭიროა კავკასიის ყველა უმთავრეს ერების შეკავშირება განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად, საჭიროა მხნე სამზადისი პოლიტიკურ ბრძოლისათვის, რომელიც გამოიყვანს ხალხს სოციალურ განვითარების ფართო გზაზედ. **შ.**

ქართლში

ცხინვალი. მართალია, ცხინვალიდან პატარა წერილი იყო მოთავსებული „ცნობ. ფურცელ“-ში, მაგრამ ამ წერილში დაწვრილებით არ იყო აღნიშნული ის უბედურება, რომელიც გამოვცადეთ. ეხლა მინდა დაწვრილებით გავუზიარო მკითხველს ჩემის თვალით ნანახი და ყურით გაგონილი.

ათ იანვარსვე დღეშით გავიგეთ, რომ გორიდან ჯარი იგზავნებოდა, რის გამოც ხალხში ათასი შემაძრწუნებელი ხმა გავრცელდა ცხინვალის განადგურების შესახებ. იმ ღამეს ჯარს ტირძნისში დაებანაკა და მეორე დღეს, 11 იანვარს, დილის ათ საათზე, მოადგნენ ცხინვალის მაღლობს (ზლუდრის გვერდიდან). ჯარი სრულის საომარის წეს-რიგით დააყენეს. იქმნებოდა სამას კაცამდის, ყაზახი და დრაგუნი ორის ზარბაზნით. ამ ზარბაზნებს პირი შეუქციეს ცხინვალისაკენ. ამის შემდეგ ყაზახის და სტრაჟნიკების მხვეტავი რაზმი ჩამოგზავნეს. ეს რაზმი თოფებით მიაქროლებდა ცხენებს. ასე ავიდნენ ზევით დავრისის სამზღვრამდის, ხოლო ქვევით—გუჯაბაურისა და ნიქოზების საზღვრამდის. მაგრამ რაზმმა საეჭვო ვერა ნახა-რა.

ამის შემდეგ ჯარი სრულის წეს-რიგით შემოვიდა ცხინვალში. ჯარის უფროსი სკოლის სახლში დაბინავდა. მაშინვე გასცა ბძანება, რომ ყველა მამაკაცი გამოცხადებულიყო მასთან. ცხენოსანი და ქვეითი ჯარის-კაცნი შეუდგნენ ხალხის შეკრებას. ყველას ერეკებოდნენ სახლებიდან. ჩქარა მოუყარეს თავი და ჯარი შემოარტყეს. უფროსი სათითაოდ ეძახდა და ჰკითხავდა, ვინ და რა კაცები იყვნენ მქადაგებელნი, ასისა და ათის თავები; ვინ იყვნენ რაზმის კაცები და ვინ ხელმძღვანელობდა. რაკი შეატყო, რომ საქმე ჭიანურდებოდა, უფროსმა უბრძანა აერჩიათ 12 კაცი ქართველი, ოსი, სომეხი და ებრაელი, ამასთან სთქვა, უკეთუ ამათგანაც ვერა გავიგე რა, იცოდეთ ესენი სიკვდილით დაისჯებიან და არც თქვენ დაგეყრებათ კეთილიო. ხალხი დაითხოვა და ეს თორმეტი კაცი მძევლად დაიტოვა. მაგრამ ესენიც გაანთავისუფლეს მეორე დღემდის.

მეორე დღეს ჯარი თავის უფროსით ქურთაში გაეშურა. აქ ორი ზარბაზნით მიადგა გიორგი ზაალის ძის მაჩაბლის სახლს და თვრამეტჯერ ესროლა. მაგრამ ბევრი ვერა დააკლეს რა. შემდეგ წაუკიდეს ცეცხლი. ხალხის შემწეობით დაწვით არავინ დამწვარა. მაგრამ ეს მშვენიერი ორ-სართულიანი სახლი კი მთლად გადაიწვა. ჯარი ცხინვალში დაბრუნდა. ეს ზარბაზნები გიტანეს 13 იანვარს ხიდ-გაღმა მაჩაბლის სახლთან, სადაც სასამართლოა მოთავსებული. ცხინვალში ყაზახები სახლიდან სახლში გადადიოდნენ და ათ წლისაზე ზევით ყველას გაღმა ერეკებოდნენ. ხალხით გაიჭედა იქაურობა. ორივე მხარეს ჯარის კაცები იყვნენ ჩამწკრივებულნი. მარჯვნივ და მარცხნივ კი ორი პირ-დაღებული ზარბაზანი იდგა. ამოიკითხეს მძევლები, ესე იგი ამორჩეული კაცები. ორი კაცი დააკლდა. მაგრამ ესენიც ჩქარა გამოჩნდნენ და აი დადგა განკითხვის დღეც. კიდევ გაუმეორა ამორჩეულებს, გაეცათ „მთავრობის მოღალატენი“ და ამორჩეული კაცები წმინდა სანთელს დაემსგავსნენ, ენა სამოძრაოდ აღარ ემორჩილებოდათ. ბრძანება განმეორდა, მაგრამ ამაოდ. გამესამედდა, მაგრამ უარის მეტი პასუხი არა იყო-რა. მაშინ უფროსმა ბრძანება გასცა, ზარბაზნები გაესწორებინათ და გაეტენათ. ბრძანება უკვე შესრულებულ იქმნა. ახლა კი ხალხმა ტოკვა დაიწყო. უმრავლესობა კანკალმა აიტანა, ბევრს თვალებზე ცრემლები მოადგა და ანგარიშ მიუცემლად რაღასაც ჩურჩულებდა. ჯარის უფროსი მიუბრუნდა ცხენ და ცხენ ზარბაზნის მოხელეთ, რაღაც წაილაპარაკა, ხალხისაკენ მობრუნდა და დაიძახა, თქვენ არ გინდათ ხელმწიფე და მისი მოსამართლეები და ახლა მე ვიციო. დაიძახა, სამღვდელოება და ჩინოვნიკობა ცალ-მხარეს წინ გამოდითო. ბრძანება შესრულებულ იქმნა. ახლა კი, აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა ხალხი. ამ დროს ხალხმა ერთხმად პატიება შეჰბღავლა და ტალახში მუხლის თავებზე დაეცა. ამ სურათმა ჯარის უფროსზე იმოქმედა, ჩაფიქრდა, მერე უცებ დაიძახა, ადექითო. ხალხი წამოდგა, მაგრამ ფერი აღარავის ედო. უფროსმა მაზრის უფროსის თანაშემწეს რაღაც უთხრა, იმანაც ამოიღო სია და დაიწყო კითხვა. ესენი არიან პროპაგანდისტებიო, ათისა და ასის თავები და სხვანი. თან ეკითხებოდნენ, ერივნენ ესენი, რაც ჰბრალდებათ თუ არაო. აქ ხალხმა ყველანი სათითაოდ გასცა და ფიცი მისცა, როცა კი ვინმე ჩაიგდებენ ხელში, დასჯიან ან მთავრობას გადასცემენ თავისის იარაღით. აგრეთვე პირობა მისცეს, შემოვიღებთ ძველებურ მართვა-გამგეობასაო, აქამდის თქვენი დასჯისა გვეშინოდა, ახლა კი იმათიო. ამის გამო დაჰპირდა, ალაგობრივ ჯარის კაცებს გამოგიგზავნით და ესენი მფარველობას გაგიწევენო. რაკი ყველაფერი გათავდა, ხალხს უთხრა, გასძღოლოდა და შენიშნულ კაცების სახლები ეჩვენებინა ხალხი გაუძღვა და იქვე მახლობლად სახეითოში ორი სახლი აჩვენა, ერთი ლაფაჩისა, რომელიც ხალხსავე დაანგრევინა და დააწვევინა, მეორე კასრაძეებისა, სადაც მოხუცებული დედა სცხოვრობდა. უფროსმა ძმამ ითავდება ძმების გადაცემა, და სახლი გადარჩა დაწვას. შემ[illegible] წავიდნენ ცხინვალში და მო[illegible] სახლი აჩვენეს. აქაც დედა გამოეგება და აჩვენა ერთი კუთხე სახლისა და სთქვა, სხვა შვილებიცა მყავს და ურჩ შვილს ეს კუთხე ეკუთვნისო. კუთხე დაანგრიეს და დასწვეს. ამის გარდა ერთი დალაქის შვილის ტერსიმონოვის ძველი სახლიც დაიხსნა დედისა და ძმის თავდებობამ. შემდეგ გაიყოლიეს კასრაძის სახლისაკენ, რომელიც ეკუთვნოდა კასრაძეების დედას და არაფერი წილი შვილებს არა ჰქონდათ. მაგრამ შემწყნარებელი არავინ გამოჩნდა. ორის ზარბაზნით ორი კუთხე დაახიანეს და ხალხს გამოუცხადეს, ცეცხლი რომ წაუკიდოთ გადაბმულ სახლებსაც ზიანს მისცემს, ამიტომ თუ პირობას მომცემთ, რომ ქვას-ქვაზედ არ დასტოვებთ, ხვალამდის ცეცხლს გადავარჩენ ცხინვალსო. რაც ხე-ტყე ავიდეს იმისთანა ღარიბებს დაურიგეთ, რომელთაც პოლიტიკაში არაფერი მონაწილეობა არ მიეღოსო. 14-ში სახლის კედლები ძირს დასცეს. ხის მასალა დღესაც ეკლესიის ეზოში აგროვია და უღმერთობაზედ უღმერთობა იქნება ამ ქვრივისა და ობლების პატრონს გამოსწირონ.

აქედან ზემო ნიქოზს ეწვივნენ. აქაც სამი სახლი დააქციეს, ერთი ღვდლის (შვილია ამ სახლის პატრონის ქვრივისა) კასრაძისა (თითონაც წაიყვანეს). ამ ღვდლის სახლის გარდა დასწვეს ლომსაძისა და კორაშვილისა. აქედან წუნარში წავიდნენ (ტყვეებიც თან დაჰყვანდათ). ერთი ორის სახლიც აქ დაანგრიეს. წუნარიდან ყორნისში გადავიდნენ. აქაც ერთი სანაყოშვილის სახლი გაანადგურეს, მეორე მღვდლის ქოქოშვილის სახლს დაუშინეს, მაგრამ ხვეწნამა და მეტანიამ გასჭრა.

დაბრუნდნენ უკან თუ არა, ცხინვალელებმა პარაკლისი გადაიხადეს ქართველ სომეხ-ებრაელთა, სადილი გაუკეთეს, ასი თუმანი ფული გადუხადეს და ის იყო უნდა წასულიყვნენ, რომ კეხვიდან სტრაჟნიკი ჩამოიჭრა, თოფი მესროლეს დუქნიდანაო. ჯარი მაშინვე გაეშურა და მამლის ყივილი იყო, რომ ქურთის ქვემო უბანს შემოარტყეს ალყა (ერთ-ერთ მაჩაბელს თურმე ეძებდნენ) და თოფების სროლა ასტეხეს. აქედან ზემო უბანში შევიდნენ. ამ დროს თურმე ერთ ოჯახში ორი სტუმარი ყოფილა დგვრისიდან. ამ სროლის დროს გამოცვივნულიყვნენ გასაქცევად, ერთს მოუსწრია, მეორე-კი ოთხის ტყვიით გულ-განგმირული იქვე დაცემულა. საღამომდის კარზედ ესვენა და საღამოს ჭირისუფლებმა წაიღეს. ამავე დილით კეხვსაც ეწვივნენ და გადასწვეს ის დუქანი, საიდანაც სტრაჟნიკისთვის თოფი უსროლიათ და 9-ც სხვა დუქანი. ჩვენი დამღუპავიო, უთქვამს სოფელს, ეს დუქნებია: აქ აფარებენ ყველანი თავსაო. ჩამოვლაზედ შეიპყრეს ქურთის მღვდელიც (კასრაძე ბიძაშვილი, ნიქოზის მღვდლის) და თან წაიყვანეს.

20 თუ 21-ში ცხინვალელებმა საუზმე გაუმართეს, დალოცეს ერთმანეთი და ფლევისაკენ გაემგზავრნენ.

დროებით მეთვალყურე.

სოფ. მეჯვრისხევი, 22 იანვარი. ცხინვალში მომხდარ ამბების შემდეგ მეჯვრის ხევის მცხოვრებნი შიშმა მოიცვა. ელოდნენ, რომ არც მათ ასცდებოდათ ის, რა ცხინვალს დაატყდა. მოლოდინი არ გაუცრუვდათ და კვირას, 22 იანვარს დილით გვეწვივნენ ზარბაზნებით. ჯარი მოსვლისთანავე შემოესია სოფელს და შეუდგა სახლების ჩხრეკას. გაუჩხრეკელი არ გადარჩა არც ერთი საეჭვო სახლი და არც საეჭვო კაცი. ზოგს წოდებსაც კი აჰდევინებდნენ და უშინჯავდნენ, [illegible] ხომ არაფერი აქვს დამალულიო. გაჩხრეკას თქვენი პირი წა[illegible] რომ სხვა უბედურება არ ენახათ მცხოვრებთ... შემდეგ ჯარმა ხალხი ერთ ადგილას მოაგროვა, ირგვლივ [illegible] და მოითხოვა: თოფები, რაზმელები, ასის თავები, ათის თავები, სოფლის წარმომადგენელი, პროპაგანდისტები, აგიტატორები და სხვანი. მოითხოვა აგრეთვე, რომ დაუყოვნებლივ აღედგინათ კანცელარია და ისევ იმ მამასახლისს დამორჩილებოდნენ, რომელიც წინად ჰყავდათ. უბრძანეს, რომ თუ ჩვენ მოთხოვნილებას არ აასრულებთ, სასტიკად დავსჯითო. ჯარმა ორმოცდაათამდე კაცი გამოარჩია, ბევრი მათგანი გაამათრახა და გორის ციხეში გაისტუმრა. დანარჩენ ხალხს უბრძანეს, სახლში დაბრუნებულიყვნენ და მამა-პაპურათ ცხოვრებას შესდგომოდნენ.

ხალხის დაშლისთანავე ჯარმა ზარბაზნები ესროლა და დაანგრია სახლები: მიხა ბუჯიაშვილისა, კოლა ლოლაძისა და არჩილ ჩუბინაშვილისა. მეჯვრისხევიდან ხელთუბანს წავიდნენ, სადაც ზარბაზნებით სამი სახლი დაანგრიეს, სხვათა შორის, თედო რაზიკაშვილისა. ხელთუბნიდან სოფ. ზერბუკში ჩავიდნენ, მაგრამ აქედან მცხოვრებნი ისე გახიზნულიყვნენ, რომ ერთი ბავშვიც კი ვერ ეპოვათ. ახლო-მახლო სოფლები ძალიან დაწიოკებულია. ყველა უბედურების განსაცდელს მოელის. მცხოვრებნი იხიზნებიან. **ს.**

ბალტიის მხარის დამშვიდება

თან და თან ირკვევა ის საშინელება, რომელიც ბალტიის მხარეს დაატყდა. კითხულობ გაზეთებში ამ ამბების აღწერას და არა გჯერა; არა გჯერა, რომ მეოცე საუკუნეში ყოველივე ეს შესაძლებელი იყოს. ისეთი რეაქციონული გაზეთებიც-კი, როგორიც „რიჟსკ. ვესტ.“-ია შემზარავ სურათს გვიხატავენ ამ მხარის დამშვიდებისას“. ამ სურათის გამო გაზ. „რუს“-ი ამბობს, რომ სირცხვილი გვწვავს, როდესაც ვკითხულობთ.

ფელინიდან, როგორც ზემო აღნიშნულ გაზეთებშია დაბეჭდილი, იუწყებიან, რომ იქ ხალხს ერთი შტაბ-როტმისტრი ასამართლებდა. იმის დადგენილებით მარტო ფელინში 53 კაცი დახვრიტეს. თვით ქალაქში დაუხვრეტიათ 9 იანვარს 40 კაცი, ხოლო 11 იანვარს 13, რამდენი დახვრიტეს მაზრაში, ჯერ არ იციან.

9 იანვარს დახვრეტილ 40 კაციდან მხოლოდ 14 იყო დაპატიმრებული. ამათ აბრალებდნენ კაბბალის მამულის აკლებას ფელინის მაზრაში. დანარჩენი 26 კაცი დაიჭირეს ქ. ფელინში ღამე, თავიანთ სახლებში და მეორე დღეს დახვრიტეს. როდესაც ესენი საპყრობილეში მიიყვანეს, გაიგეს, რომ დახვრეტა აქეთ გადაწყვეტილი. საცოდავთ დაუჩოქეს შტაბროტმისტრს, ემუდარებოდნენ, შეგვიბრალე, გამოძიება დანიშნეთ და სამართალში მიგვეციო... ესენი ხელ შეკრულნი წაიყვანეს 14 ტუსაღთან ერთად, აზიარეს და ტბის პირად მიიყვანეს (ტბა ქალაქის მახლობლადაა) ძველის ციხე-დარბაზის მახლობლად დიდი ორმო ამოთხ. აქ უკვე შეკრებილიყვნენ ესტონელები. საცოდავნი ტიროდნენ და კანკალებდნენ შიშით. ყველანი, ვისაც დახვრეტა ჰქონდა გადაწყვეტილი, მიიყვანეს ორმოსთან. საცოდავთ ხელმეორედ დაუჩოქეს როტმისტრს და სთხოვეს შებრალება. შიშით უმეტესობას სახე მოღრეცილი ჰქონდა. ერთმა ხმა მაღლა უთხრა შტაბ-როტმისტრს: „თქვენო აღმატებულებავ! გაგვასამართლეთ... ჩვენ დამნაშავენი არა ვართ! გაგვგზავნეთ, სადაც გინდათ, დღე-ღამე ვიმუშავებთ, სიცოცხლე კი მოგვანიჭეთ!..“ მაგრამ გაისმა ბრძანება. პირველი რიგი (5 კაცი) ორმოსთან მიიყვანეს და დაჩოქეს პირით ორმოსაკენ. უფროსმა უბრძანა სალდათებს: „გასტენეთ თოფები!“ და შემდეგ—„პლი!“ გაისმა თოფების გრიალი. ზოგს თავის ქალა მოაცილა ტყვიამ და ორმოში გადააგდო, ზოგი ჯერ კიდევ ცოცხალნი ყვიროდნენ და იტანჯებოდნენ, სანამ თვით აფიცერმა არ ესროლა რევოლვერი. პირველის რიგის დახვრეტის შემდეგ ბევრმა იქ ყოფნა ვეღარ შესძლო. ოცდა-ექვსი კაცი დახვრეტილთაგან საპყრობილეში სულ არ მჯდარა. ესენი არავის არ გაუსამართლებია, ამიტომ ფიქრობენ, რომ ამათგან ბევრნი უდანაშაულონი იყვნენო. 14 დახვრეტილთა შორის იყო ორი 15—17 წლის ბავშვი. ისინი დახვრიტეს იმიტომ, რომ მათმა მამამ წინააღმდეგობა გაუწია აფიცერს, რომელიც იმის სახლში შევიდა ჯარით რევოლუციონერთა დასაჭერად. ეხლა საცოდავების მამაც დაუჭერიათ.

საღამოთი, ამათ დახვრეტის შემდეგ, ერთის დახვრეტილის ქვრივი ხუთის შვილით წყალში გადავარდნას და თავის დახრჩობას აპირებდა, მაგრამ გადაარჩინეს.

11 იანვარს დახვრიტეს 13 კაცი. იმათ, ვინც დახვრეტას გადარჩა, საშინლად სცემეს როზგებით (150—200 ჯერ თითოს). სცემეს რამდენსამე ქალს და სამ მოსწავლეს საქალაქო სასწავლებლისას. ბევრს უდანაშაულოს სცემეს და ეს გარემოება მხოლოდ ცემის შემდეგ გამოირკვა. ვინც უდანაშაულოდ დახვრიტეს, იმათ კი რაღას უშველიდნენ?

სოფლებშიც დააპატიმრეს სასოფლო სამმართველოს ახალი წევრნი. ერთი იმათგანი ვერ იპოვნეს და იმისი მამა დაიჭირეს. გადასწვეს იმათი სახლები, ვინც დამალვა მოასწრო.

12 იანვარს დახვრიტეს 5 კაცი. დახვრიტეს აგრეთვე ერთი მოიჯარადრე. დახვრიტეს ერთის მემამულის შვილიც. სკულტენში 10 იანვარს დახვრიტეს 5 ახალგაზდა კაცი. ბევრს სცემეს როზგებით. დრაგუნებმა, სხვათა შორის, დასწვეს წიგნის მაღაზია.

ქალები და ბავშვები ტყეებში იხიზნებიან. სოფლები დაცალიერებულია, არსად ჭაჭანება არ არის. როზგებით სცემეს ერთ ინტელიგენტ ქალს ზოგმა დახვრეტას პროტექციით დაალწია თავი. საქმე იქამდის მივიდა თურმე, რომ ხმები გავრცელდა, გლეხები ფიქრობენ—გერმანიის იმპერატორ ვილჰელმსა სთხოვონ დახმარებაო.“

„ძლიერ სამწუხაროა რუსისთვის, ამბობს გაზ. „რუს“-ი, რომ ამგვარი ხმის გავრცელება შესაძლებელი გახდაო“.

ჯარს ბევრგან წინ უძღვებოდნენ და გზას უჩვენებდნენ ადგილობრივი მემამულე ბარონები და ამიტომ, გაზ. „რუსი“-ს სიტყვით, ბარონებმა დაუძინებელ მტრებად გაიხადეს გლეხები? „რას იზამენ მაშინ, როცა ჯარი წავა, იფიქრეს ამაზე ბარონებმა?“ კითხულობს გაზეთი.

დაზარალებულთა სასარგებლოდ

მე, პლატონ ლევანის ძე მახარაძე, გიგზავნით დაზარალებულ გურულთა შესაწევად ასორმოც მანეთს (140 მ.), ჩემ ნაცნობთა შორის შეკრებილს. შემომწირველთა სია:

პლატონ ლევანის ძე მახარაძე 25 მ., მელიტონ რევაზის ძე ბელქაძე 25 მ., სიმონ ჩიხრაძე 25 მ., ივანე კუკულავა 10 მ., მელიტონ ჩიხრაძე 5 მ., მელიტონ დოლიძე 5 მ., ხალამპრე აკურავა 5 მ., მიხაკო ხალიფოვი 5 მ., სიმონ დიასამიძე 5 მ., ივანე პაპავა 3 მ., ამბარცუმ სარქისოვი 3 მ., ივანე კერესელიძე 2 მ., პლატონ ოღილავა 2 მ., ზინოვი ნიტიომინი 2 მ., მიხაილ ლობჟანიძე 2 მ., ნიკო ლეკიშვილი 2 მ., ალექსი კილასონია 2 მ., გ. ხალილოვი 2 მ., მიხაილ ერისთავი 1 მ., სტეფანე ჯებაშვილი 1 მ., კოსტა ხომასურიძე 1 მ., ალექსანდრე პეტრუშოვი 1 მ., პავლე კერესელიძე 1 მ., კ. კარაულოვი 1 მ., იაგორ სახიევი 1 მ., ერმალო გიორგაძე 1 მ., აბელ კირაკოზოვი 1 მ., ნერსეს თათუზოვი 1 მ.

ექიმ დ. ვაშაკიძის მიერ ველისციხეში დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ შეკრებილი 34 მ. 15 კ. შემომწირველთა სია:

ნ. ზ. ჭავჭავაძისა 5 მან. ექიმი დ. ვაშაკიძე 10 მ. მარუსია გურგენიძე 3 მან. არსენ ტერ-პოგოსიანცი 3 მ., ს. ჯანდიერი 2 მ., ზ. რ. ქ. 2 მ., თამარა ელიოსიძე 1 მ., მარუსია ჯანდიერი 1 მ., ოლღა ჯანდიერი 1 მ., მიხეილ ქალანთაროვი 1 მ., გიგო რჩეულოვი 1 მ., რაჟდენ კვეზერელი 1 მ., მიშა ჯანდიერი 1 მ., ლევან ბერიევი 1 მ., ნიკო თათაროვი 1 მ., მღვდელი გ. ციბალოვი 1 მ., იაკობ კარდენახლიშვილი 50 კ., კროშკა თარხანოვი 40 კ., აისორი იოსები 30 კ., ალექსი მატნელი

ფელეტონი

მუშა ვარლენის სიტყვა,

წარმოთქმული პარიზის მოსამართლეთა წინაშე.

(თარგმანი)

1868 წელს, მაისს, პარიზში გაარჩიეს საქმე წიგნთ მკაზმავის ვარლენისა, მღებავის მალონისა და შვიდის მათის ამხანაგ მუშისა. ამათ ბრალსა სდებდნენ ნებადაურთველ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღებისათვის. ეს საზოგადოება სამის წლის წინად იყო დაარსებული და სახელად „მუშათა საერთაშორისო საზოგადოება“ ერქვა. 1868 წლის გაზაფხულზე იგი ჯერ კიდევ პატარა იყო, მაგრამ იმდენი ძალა და გავლენა მოეხვეჭა, რომ უკვე ჩაეფიქრიანებინა მუშათა კლასის ყველა მტერი, ყველა მდიდარი, სხვისი შრომით გამძღარი (ბურჟუაზია). საქმე ის არის, რომ ამ საზოგადოების დაარსების შემდეგ მუშები პირველად შეუდგნენ დამოუკიდებელს, ყველა არა მუშების პარტიებისაგან გამოცალკევებულს მუშაობას, მაშინ როდესაც წინად მუდამ იმის იმედი ჰქონდათ, რომ მათ გააბედნიერებენ ამა თუ იმ მაღალის წრის ადამიანები და ასე ტყუილად შეაჯერებდნენ მათ.

მაგრამ ბოლოს იპოვნეს უკეთესი გზა თავიანთ ინტერესების დასაცავად, დაიარსეს „საერთაშორისო საზოგადოება“ და ყველა ქვეყნის მუშებმა ერთხელ და სამუდამოდ გადასწყვიტეს თვითონვე მოაწყონ თავიანთი საქმე, არ მიმართონ ხელმძღვანელობისთვის არავის, რაც უნდა კეთილისმყოფელი იყოს იგი, და შეერთებულის ძალით მოუპოვონ საუკეთესო მომავალი ყველა მშრომელთ. „მუშების განთავისუფლება თვითონ მუშების საქმე უნდა იყოსო“, დააწერეს ამათ თავიანთ დროშაზე, მტკიცედ იცავდნენ იმას და იღებდნენ თავიანთ წრეში მხოლოდ ისეთ ადამიანებს სხვა წრეებიდან, რომელნიც სავსებით გადასულიყვნენ მუშების მხარეზე და არა სურდათ, არ მიისწრაფოდნენ არაფრისადმი, გარდა მუშების საქმის მოწყობისა.

მეორე განსაკუთრებული თვისება ახალის საზოგადოებისა ის იყო, რომ იგი საერთაშორისო იყო. სხვადასხვა ქვეყნის მუშებმა კარგად გაიგეს, რომ მუშები ყველგან, ყველა სახელმწიფოში ერთნაირად იტანჯებიან, რომ ერთი და იგივე მტრები ჰყავთ, რომ, რაც უნდა იდავონ და იჩხუბონ ამ მტრებმა ურთიერთშორის, ისინი მაინც მუშების წინააღმდეგნი იქნებიან მუდამ,—მიხვდნენ ყოველსავე ამას, გადასწყვიტეს შეერთდნენ, გაერთიანდნენ და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გასწიონ საუკეთესო მომავალის მოსაპოვებლად. გავიდა ამდენი ხანი და დიდებული ხმა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ მედგრად გაისმის ყველა ქვეყანაში. სწვდება ყველა დაჩაგრულს და გაყვლეფილს მუშას, რომლის ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, უღვიძებს სოლიდარობა-ერთობის სურვილსა და მნიშვნელობას და აერთებს ერთს დიდებულს დროშის ქვეშ, რომლისათვისაც, ერთხელაც არის, არ უღალატნიათ მისს მესვეურთ; რომელ მუშასაც შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა, მას კარგად ესმის, ვინ არის მისი ნამდვილი მტერი. დასავლეთ ევროპის მუშები,—გერმანელები, მაგალითად,—თავიანთ გერმანელ ალებსა და ბატონებს უცხო ადამიანებად სთვლიან, თავიანთ მტრებად ჰყავთ იგინი დასახული, საფრანგეთის, ინგლისისა და ყველა სხვა ქვეყნის და ეროვნების მუშებს თავიანთ მეგობრებათა და ამხანაგებად იჩნევენ, ძმებათა და ამხანაგებად სთვლიან ისინი აგრეთვე რუსეთის ყველა მუშას და მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ, როგორც-კი რუსეთის მუშები შეიგნებენ თავიანთ ინტერესებს, ისინიც სხვა ქვეყნების მუშებთან ერთად, იბრძოლებენ საუკეთესო საკაცობრიო მომავლისთვის.

თუ რა დიდი ძალა მოიპოვეს მუშებმა ამ საერთაშორისო კავშირით, ეს მაშინვე აღმოჩნდა გაფიცვების დროს. გაფიცვები წინადაც ხდებოდა ყველგან, ისე როგორც რუსეთში ხდება ხოლმე, მაგრამ რადგან გაფიცულებს მხოლოდ თავიანთის ძალების იმედი ჰქონდათ, ამიტომ, ხშირად, აღებს ძლიერ უადვილდებოდათ ხოლმე მათთან გამკლავება და შიმშილით აიძულებდნენ მუშებს დამარცხებულნი დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახელოსნოებში. ხშირად საქმე უფრო ცუდად თავდებოდა. თვითონ გაფიცვისთვის ევროპაში თითქმის არსად არა სჯიან. მაგრამ პოლიციისა და ჯარის ჩარევისთვის საჭიროა, რომ რაიმე არეულობა მოხდეს, რომ თვითონ მუშები წაიჩხუბნენ ან დაამტვრიონ რამე ფაბრიკა-ქარხნებში ამიტომ ყოველთვის, როცა კი დიდი გაფიცვა მოხდებოდა, დამქირავებელთ ძლიერ სურდათ და სცდილობდნენ კიდეც, რომ ჩქარა მომხდარიყო რამე საიმისო. საჭირო იყო მცირე არეულობა, რომ ჯარი გაჩენილიყო, დაეჭირა მეთაურები, ესე იგი ყველა უფრო გაგებული და თამამი მუშები; ვინც წინააღმდეგობას გასწევდა, ხვრეტდნენ, დანარჩენები კი, უხელმძღვანელოდ დარჩენილები, ხელახლა იწყებდნენ მუშაობას. ამას გარდა აღებს კიდევ სხვა საშუალებაც ჰქონდათ გაფიცვის ასალაგმავად. ისინი ხშირად გამოიწერდნენ ხოლმე გაფიცულ მუშების ადგილზე ვინმე სხვა მუშებს, მეზობელ ქალაქებიდან ანა და სხვა სახელოსნოებიდან.

„საერთაშორისო საზოგადოება“-მ იცოდა, რომ გაფიცვებით იმდენად ვერ გააუმჯობესებდა მუშების ბედ-იღბალს, მაგრამ იცოდა აგრეთვე ისიც, რომ უგაფიცვობა არ მოხერხდება არსებულ პირობებში, რომ ხშირად გაფიცვაა ერთად-ერთი იარაღი, რომლის წინაშე იძულებული ხდება დამქირავებელი აღარ დაუკლოს ისედაც მცირედს ხელფასს, და ამიტომ საზოგადოებამ გადასწყვიტა, რადგან უგაფიცვობა შეუძლებელია, ყოველი ღონისძიება იქმნას ხმარებული დაყოველნაირად შეეწყოს ხელი, რომ გაფიცვამ გაიმარჯვოს. გადაწყდებოდა თუ არა რომელიმე მსხვილი გაფიცვა, მაშინვე საერთაშორისო საზოგადოების მიერ ამორჩეული პირები აცნობებდნენ ამას თავიანთ თანამოწევრეებს სხვა ქალაქებსა და ქვეყნებში და ყოველგან, სახელოსნოებსა და ფაბრიკა-ქარხნებში. იმართებოდა ფულის კრეფა გაფიცულების სასარგებლოდ. მუშები იხდიდნენ, ვისაც რამდენი შეეძლო—კაპეიკს, შაურს, ორ შაურს, მაგრამ, რადგან ფულის გამღებნი ათასობითა და ათი ათასობით იყვნენ, ამიტომ კაპეიკობითა და შაურობით დიდძალი ფული იკრიბებოდა და გაფიცულებიც იმარჯვებდნენ შიმშილთან ბრძოლაში. შეწყდა აგრეთვე არეულობაც გაფიცვების დროს. რადგან მუშებს გამარჯვების იმედი ჰქონდათ, ამიტომ სცდილობდნენ არ მიეცათ ჯარისა ან პოლიციისათვის არავითარი საბაბი საქმეში ჩასარევად. ვეღარც მუშების გამოწვევა მოახერხეს დამქირავებლებმა სხვა ქალაქებიდანა

20 კ., გიგა კარდენახლიშვილი 20 კ., მიხა მიტიჩაშვილი 20 კ., პატარა თიკო ჭავჭავაძე 20 კ., ზურაბ ჭავჭავაძე 15 კ., მარო ჭავჭავაძე 10 კ., იორდანე ნადირაშვილი 10 მ., ილიკო მახარობლიშვილი 10 კ., ვანო ძენდელიანი 10 კ., ზაქრო ქარანაშვილი 10 კ., სანდრო სუხატაშვილი 20 კ., ხარება ძამუკაშვილი 5 კ., გიგოლა ნაზაროვი 5 კ., დავით ჯანდიერი 20 კ.

—

დაღესტნისა და ერევნის პოლკების ქართველ სალდათებს შორის დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ შეკრებილი 11 მანეთი. შემომწირველთა სია:

ნიკიფორე სადრაძე 1 მ., გრიგოლ კეჭაღმაძე 1 მ., ტიტიკო ბაკაშვილი 50 კ., ექვს-ექვსი შაური კოლია ბახტაძე, პოლიკარტე მანჯგალაძე, გიორგი ენიკოლოპოვი. რომან ბულბულაშვილი 50 კ., ვანო ბერაშვილი 50 კ., გიორგი საკანდელიძე, ირაკლი დვალიშვილი, ბართლომე გაბუნია, კონსტანტინე ლომინაძე თითო აბაზი. გაბრო ქებაშვილი 30 კ. გრიგოლ ხულაშვილი 30 კ. ლადო კერვალიძე, არშაკ მელიქსეტოვი, ელიზბაროვი, ვანო ინანაშვილი თითო აბაზი. მიტრია უდიაშვილი 25 კ., ალექსანდრე წილოსანი 20 კ., ვანო შალაბერიძე 30 კ., მელიტონ ნაცვალაძე 50 კ., პავლე ჟამასპიშვილი 50 კ, დავით ციტიაშვილი 25 კ., ხალა მაჭარაშვილი 25 კ., ილია ხუდიშვილი 25 კ., ზაქარია კოკრაშვილი 30 კ., ზელენაშვილი 20 კ., მენტეშაშვილი 20 კ., ალექსანდრე ზუბაშვილი 20 კ., გრიგოლ ჯანაშვილი 20 კ., ნიკოლაი ბაზარაშვილი 15 კ., ზაქარ კიკლაშვილი 15 კ., მოსე მეჭედელაშვილი 15 კ., ქედელა ქუსუკაშვილი 15 კ., გრიგოლ შუკაშვილი 15 კ., სიმონ სუნგულაშვილი 10 კ., ივანე ხენაშვილი 10 კ., იოსებ არუთინოვი 30 კ., ალექსი დუდუაშვილი 30 კ., ბესო ციგრაშვილი 30 კ., მოსე მამუკაშვილი 25 კ., ალექსი ფოლადაშვილი 25 კ., ნიკოლაი კრაწაშვილი 25 კ., მოსე ზურაბაშვილი 20 კ., კოლია თალაკვაძე 35 კ., ესოფი ჩამიშვილი 30 კ., ეზეკია ჩიკვაიძე 35 კ.

—

იმიერ-კასპიის ოლქში ქართველ სალდათებს შორის შეკრებილი დაზარალებულ გურულთა და საზოგადოდ ქართველთა სასარგებლოდ. შემომწირველთა სია:

რაფაელ ჯორბენაძე, 50 კ., პარმენ გოგებაშვილი, 50 კ., ბაგრატი ასათიანი 50 კ., ილაკრი შავიძე 50 კ. სერაპიონ ტიკარაძე 50 კ., ერასტო გუნციაძე 30 კ,, ბესარიონ მეკრელიშვილი 20 კ., დავით ჩუმაშვილი, 20 კ., ანტონ ჯაჯანიძე 15 კ., ივანე კაციტაძე 15 კ., ილაკრი კილაძე 20 კ., დიომიდე ჯაბუა, 20 კ., ივანე გოქაძე, 15 კ., ალექსანდრე აბდუშელიშვილი 15 კ., ექვთიმე გორასაშვილი 20 კ., დიმიტრი ჯიმშეთაშვილი 30 კ., თადეოზი მკერვალიშვილი 10 კ., ესაია კაპანაძე 5 კ., კალენკა კოჩაძე 20 კ., გერმან ბიცაძე 20 კ., ვასილა ასანიძე 20 კ., ასლან მუშკუდიანი 15 კ., მარკოზ ხიცურიანი 20 კ., ალექსი გოლეთიანი 10 კ., გრიგორი ჩოხნელიძე 10 კ.

ახალი ამბავი

◆ **ქუთაისი.** ქუთაისიდან ჩამოსულთ გვიამბეს: „ამას წინად ვიღაცებმა მოჰკლეს პოლიციის ბოქაული ქობულიანი. ამ ამბავმა თავზარი დასცა მცხოვრებთ, რადგან ხმა გავარდა, ხალხის ჟლეტა იწყებაო. გენ. ალიხანოვ-ავარსკის განკარგულება მოუხდენია, დაუყოვნებლივ აღმოეჩინათ მკვლელები. ქუთაისში ალყის დროის წესები გამოცხადდა. ბოქაულ ქობულიანის ოჯახის სასარგებლოდ ქუთაისის მცხოვრებლებზე გააწერეს 10,000 მანეთი და უკვე შეუდგნენ ფულის მოკრებას“.

◆ **თოფების სროლა.** 25 იანვარს, ნაშუაღამევის ორ-ნახევარ საათზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, შემდეგი ამბავი მოხდა, რამაც მთელის უბნის მცხოვრებთ თავზარი დასცა. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, მარჯვნივ, სადაც რიყისაკენ მიმავალი ვაგონები ჩერდება, ანანოვის საკანდიტროს ზემოდ, სასტუმროა იორდანე ღუღუნიშვილისა და ვანო ყიფიანისა. ნაშუაღამევის პირველ საათზე სასტუმროში მისულა ორი უცნობი კაცი, ერთი სალდათურად ჩაცმული, ხოლო მეორე ევროპიულს ტანთსაცმელში გამოწყობილი. სასტუმროს პატრონებს, როცა კარი გაუღიათ, პასპორტი მოუთხოვნიათ, ახლად მისულთ უთქვამთ, პასპორტები გვაქვს და შეგვიშვითო. უცნობთათვის დაუთმიათ მეორე ნომერი. როცა დაბინავებულან, სასტუმროს პატრონს ბიჭი გაუგზავნია პასპორტისათვის. მათ უთქვამთ, ჩვენ სამხედრო წოდებისანი ვართ, პასპორტი არა გვაქვს და როგორც კი გათენდება, წავალთო. გასულა საათ-ნახევარი და ერთი საშინელი სროლა ატეხილა ძეგლთან. ისროდნენ პოლიციელები და სალდათები. ხმაურობაზე აშლილან ყველა მცხოვრებნი და მომზადებულან გასაქცევად. გამოჩენილან ყაზახებიც. როცა შეჰკითხებიან რათ ისვრითო, სალდათებს და პოლიციელებს უთქვამთ, სასტუმროს ნომრიდან რევოლვერი გაისროლესო. როგორც იყო სროლა შეუჩერებიათ და შესულან სასტუმროში: დაუჩხრეკიათ ნომრები, მაგრამ, როგორც სასტუმროს პატრონებმა გადმოგვცეს, საწინააღმდეგო ვერა უნახავთ-რა. პირველად იმ ნომერში შესულან, სადაც უცნობები ყოფილან ღამის გასათევად და გაუჩხრეკიათ. ამბობენ, რევოლვერი იმ ნომრიდან გავარდა, სადაც ეს უცნობები იყვნენო. ამათ იარაღი არ აღმოაჩნდათ. ამას გარდა ფანჯრები მილურსმული აღმოჩნდა ჩარჩოებზე და გაჩხრეკის დროს არც მინები იყო გატეხილი. სასტუმროს გაჩხრეკის შემდეგ ეს უცნობები დაუპატიმრებიათ და საკომენდანტოში გაუგზავნიათ. როცა გაჩხრეკის შემდეგ აფიცრები, სალდათები და ყაზახთა ერთი ნაწილი სასტუმროდან ჩამოდიოდნენ, მოედნიდან იმავე ნომრისთვის ვიღაცას ქვა უსროლია. ქვას ფანჯარა ჩაუმტვრევია და იქვე იატაკზე დავარდნილა. ამ უბნის მცხოვრებთ მთელი ღამე შიშსა და კანკალში გაუტარებიათ, მეორე დილას, როგორც ამ სასტუმროს, ისე „ვენეციის“ მდგმურებს ნომრები დაუცლიათ და გადასულან. დანამდვილებით ვერ გავიგეთ, მართლა ისროლა თუ არა ვინმემ რევოლვერი, და თუ ისროლა საიდან. უცნობს, ევროპიულ ტანისამოსში გამოწყობილს, უთქვამს, სალდათმა ფანჯარა დააკაკუნა და შეიძლება ამან გამოიწვია თოფების სროლაო. ვერ გავიგეთ, ვინ არიან ეს უცნობნი და რა განზრახვით ასულან უდროვო დროს ნომრებში.

◆ **საყვედური.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნატორებს დაუგზავნა ოფიციალური მიწერილობა. ამ მიწერილობით სამინისტრო საყვედურს უცხადებს გუბერნატორებს, რომ თავის დროზე არ მიიღეს სასტიკი ზომები მოძრაობის ჩასაქრობად.

◆ **გენერალ გრიაზნოვის დასაფლავება.** დღეს, 27 იანვარს, სამხედრო ტაძრის წინ, ბაღჩაში მიაბარებენ მიწას გენერალ გრიაზნოვის გვამს.

◆ **შეკითხება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა შეეკითხა იმიერ-ბაიკალის გზას, მეტად გვჭირდებიან კონდუქტორები და მეისრეები და გვაცნობეთ, როდის გამოისტუმრებთ ჩვენს დროებით გამოგზავნილ კონდუქტორებს და მეისრეებსაო.

◆ **ფულის დაბარება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ პეტერბურგის საცენტრალო საპენსიო კასიდან მოითხოვა ასი ათასი მანათი. ამ ბოლო დროს დიდძალი ფული გაიღო საპენსიო კასამ, რადგან ბევრი მოსამსახურე დათხოვნილ იქმნა.

◆ **სალდათები პასუხის გებაში.** კავკასიის სამხედრო სასამართლოში 17 თებერვლისათვის დანიშნულია საქმე თიანეთში დაბანაკებულ საპიორთა ბატალიონის უფროსის პოლკოვნიკ მენას მკვლელობის შესახებ. პასუხის გებაში მიცემულია 3 საპიორი.

◆ **დაპატიმრებულთა რაოდენობა.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დღემდე დაპატიმრებულ იქმნა 18 კაცი.

◆ **იარაღის შენახვის მოწმობები.** გუბერნატორის კანცელარიამ ჯერჯერობით 800 კაცს მისცა იარაღის შენახვის მოწმობა.

◆ **ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის შესახებ.** სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგე ბ-ნი ანტონ ფურცელაძე გვწერს: „თქვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო, ბანკმა ტფ. სათავად-აზნაურო სკოლას ფული აღარ მისცა ავანსადაო. საქმე ასე იყო: ჩვენ ვუჩვენეთ სკოლას, რომ ჯერ-ჯერობით სალსარი აქვს და ჯერ ის მოიხმაროს და მერე, თუ არ ეყოფა, ავანსს მივაშველებთ. ამაზედ სკოლის წარმომადგენელი დაგვეთანხმდა.“

◆ **სემინარიელთა თხოვნა.** როგორც გადმოგვცეს, ტფილისის სასულ. სემინარიის მოწაფეთა უმრავლესობას დაუდგენია დეპეშა გაუგზავნოს სინოდს და სთხოვოს, გაიყვანონ სემინარიაში დაბანაკებული ჯარი და სწავლა განაახლონ ისე, როგორც სხვა სასწავლებლებში.

◆ **სახელმწიფო გლეხთა მოწყობა.** ნამესტნიკის საბჭოსთან ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც კავკასიის სახელმწიფო გლეხთა მოწყობის საქმე აქვს ჩაბარებული. კომისია განიხილავს შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტს ამ საგნის შესახებ და აგრეთვე სხვა მასალას.

ახალი გაზეთები. ა. ი. ქალანთარს შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისში ახალ რუსულ გაზეთის გამოცემის შესახებ. გაზეთს სახელად „კავკაზსკი კურიერი“ ერქმევა. გრ. კირაკოზოვმა შუამდგომლობა აღძრა ნება მიეცეს გამოსცეს სამეცნიერო-საკომერციო და პუბლიცისტური ჟურნალი „მერკური“.

◆ **სატეხნიკო სასწავლებელი.** უკვე ვწერდით, რომ რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის მოსწავლენი გაიფიცნენ ხუთი ამხანაგის დათხოვნის გამო. ამის შემდეგ თერთმეტი სხვა მოწაფეც დაუთხოვნიათ. გზათა სამინისტროს მოუწერია, დაითხოვეთ ყველა მეთაურნი და თუ სწავლა მაინც არ განახლდა, სასწავლებელი დაკეტეთო.

◆ **სამხედრო ბეგრის მოსახდელად არ გამოცხადებულნი.** თანახმად გუბერნატორის მოწერილობისა, ტფილისის სამხედრო ბეგრის საკრებულომ დროებით გენერალ-გუბერნატორს წარუდგინა სიები იმ ყმაწვილ კაცთა, რომელნიც წელს სამხედრო ბეგრის მოსახდელად არ გამოცხადდნენ. სულ ამ სიაში მოქცეულია 162 ყმაწვილი კაცი.

◆ **შეცდომა.** გუშინ შეცდომით დაბეჭდილი გვქონდა რომ ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა არჩევნები დაიწყო 26 იანვარსო. არჩევნები დაიწყება თებერვლის გასულს.

◆ **სადგურის უფროსის შეპყრობა.** 24 იანვარს შეიპყრეს ქუთაისში ყვირილის სადგურის უფროსი პოდკოლზინი, რომელიც ყვირილიდან [illegible].

◆ **მოკლული.** 21 იანვარს ტყიბულის შტოს მე-9 ვერსზე თოფით მოკლული ნახეს ქუთაისის მცხოვრები იონე პატარაძე.

◆ **დეპუტაცია.** ტფილისის გუბერნატორთან გუშინ, 26 იანვარს, დეპუტაცია იყო დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ყაზბეგის მეთაურობით. დეპუტაციამ ითხოვა, რომ მაზრის უფროსი ფონ-ბაუმგარტენი დასტოვონ ისევ თავის ადგილზე.

◆ კავკასიის სამხედრო სასამართლოში 15 თებერვლისათვის განსახილველად დანიშნულია საქმე კავკასიის რკინის გზას კონდუქტორის ასონ ღლონტისა, რომელსაც ჰბრალდება კონტროლიორის თავად იუმანოვის მოკვლა.

◆ 24 იანვარს სადგურ ყარაიაში სახალხო მატარებელი № 5 მიიდეს იმ ლიანდაგზე, რომელზედაც საქონლის მატარებელი იდგა. მემანქანემ დროზე შეაჩერა და უბედურებას აცდინა ხალხი.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს შემდეგი კრება დანიშნულია 30 იანვრისთვის. განსახილველია 22 საქმე.

◆ ტფილისის გუბერნატორის კანცელარიის მმართველის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი დაინიშნა ახალციხის მაზრის უფროსის თანაშემწედ.

◆ ეპისკოპოსი პეტრე, დროებით დანიშნული იმერეთის ეპარქიის მმართველად, გუშინ დილით გაემგზავრა ქუთაისს.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ ქალაქის განათების მოიჯარადრენი, „სვეტის“ ფირმის წარმომადგენელი ლოლაძე და „ვაშინგტონისა“—სტირო დააჯარიმა, რადგან 15—16 იანვარს ზოგიერთს ადგილებზე დიდი ფარნები არ აანთეს.

◆ 1 თებერვლისათვის ტფილისის ქალაქის გამგეობაში დანიშნულია ქალაქის მესამე საობლიგაციო სესხის ერთის ნაწილის განაღდება. ამ დღეს განაღდდება 10,200 ობლიგაცია.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 25 იანვარი. ხმა დადის, რომ გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, წინააღმდეგ ოფიციალურის გაზეთის ცნობისა, ახლო მომავალში ნამესტნიკობას თავს ანებებს. მალე პეტერბურგში აპირებს ჩამოსვლას და მერე კავკასიაში აღარ დაბრუნდებაო.

◆ პრიბალტიის მხარეში მშვიდობიანობის აღდგენის დროს დაზარალებულთა დასაკმაყოფილებლად გადაიდო თერთმეტი მილიონი მანეთი.

◆ კავკასიის მთავრობა და მომეტებული ნაწილი რუსეთის გუბერნატორებისა თავიანთ მოხსენებაში აგრარულ მოძრაობას აწერენ რევოლიუციონურ პროპაგანდას და მთავრობის დაბნევას.

◆ გაზეთ „სინ ოტეჩესტვას“-ს დაპატიმრებულმა რედაქტორმა იურიცინმა სმა-ჭამა აღკვეთა, რადგან გამოწვეული არ იყო ჩვენების მისაცემად.

◆ ფინლიანდიის საქმეების მინისტრ სტატს-სეკრეტრად დაინიშნა ფინლიანდიელი ლანგოფი.

◆ „ნოვოე ვრემია“ ამტკიცებს, რომ შეკრებილია უტყუარი საბუთები სტაროსელსკის და ყიფშიძის დანაშაულობის დასამტკიცებლადაო.

პრესსა

სატახტო ქალაქის გაზეთები ყოველ დღე იუწყებიან ახალ-ახალ ცნობებს საარჩევნო აგიტაციის შესახებ. 11 დეკემბრის კანონით საარჩევნო უფლება თვალსაჩინოდ გაფართოვდა და პირველს ხანს მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ საარჩევნო კომპანია მარდად და ენერგიულად გასწევდა წინ, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ დიდი უმრავლესობა მცხოვრებლებისა საოცარს და დაუჯერებელს გულცივობას იჩენს. „მოქალაქენო, ისარგებლეთ თქვენის საარჩევნო უფლებითაო!—ასეთის მოწოდებით მიჰმართა ხალხს წესრიგის პარტიამ, ე. ი. მთავრობამ, მაგრამ მაინც არაფერი არ გამოდის. მცხოვრებლები საარჩევნო ყუთს არ უახლოვდებიან.

ამ გულცივობის მიზეზი მრავალია: ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა, უიმედობა, საარჩევნო სისტემის უვარგისობა, აგიტაციის აკრძალვა უკიდურეს მემარცხენე პარტიებისთვის და მრავალი სხვა. გაზეთის „ს. პატერბურგსკია ვედომოსტის“ აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ იმ გარემოებას, რომ მცხოვრებლებმა ვერ შეითვისეს თვით საარჩევნო კანონი და ვერ გაუგიათ, ვისა აქვს საარჩევნო უფლება და ვის არა, ვერ გამოურკვევიათ აგრეთვე, როგორ უნდა განახორციელონ ეს უფლება და როგორ ჩაეწერონ საარჩევნო სიის ფურცელში. ზოგჯერ თურმე არა თუ კერძო პირები, მთავრობის დაწესებულებანიც ვერ ახერხებენ საარჩევნო კანონების მიხედვით ამომრჩეველთა სიების შედგენას. რამდენსამე საპოლიციო ნაწილს, მაგ. პოლიციას სიაში შეუტანია ქალები, თუმცა, ქალებს საარჩევნო უფლება არა აქვთ 11 დეკემბრის კანონით და არ შეუტანია ფინლიანდიელები, რომელთაც ეს უფლება აქვთ; ზოგჯერ უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომნი ჩაუწერიათ საარჩევნო სიაში, თუმცა დიდი მეცნიერება არაა საჭირო, კაცმა გაიგოს, რომ უცხოელთ რუსეთში არჩევნების უფლება არცა აქვთ და ვერც ექნებათ.

მაგრამ ყველაზე უცნაური ის არის, რომ ერთს სენატორსაც კი არევია გზა-კვალი. სახელმწიფო დაწესებულებებს დაევალათ, წარუდგინონ სია იმ მოხელეებისა, რომელთაც კანონით არჩევნებში მონაწილეობა შეუძლიანთ; კერძო პირებს კი დაევალათ, თითონ განუცხადონ სურვილი საარჩევნო კომისიებს ამომრჩეველთა სიაში შეტანის შესახებ.

საინტერესოაო, სწერს „ს. პეტერ. ვედ.“ რომ იმ პირთა შორის, რომელთაც განიზრახეს განცხადებითის წესით ჩაწერილიყვნენ საარჩევნო ფურცელში, ერთი სენატორიც აღმოჩნდა. სენატორი მეტად განცვიფრდა, როცა საარჩევნო კომისიაში გამოუცხადეს, თქვენ ტყუილად შეგიწუხებიათ თქვენი თავი, რადგან სენატის პირველმა დეპარტამენტმა, თანახმად კანონისა, უკვე წარმოადგინა ცნობები არა მარტო სენატორების შესახებ, არამედ ყველა იმ მოხელისა, რომელიც კი სენატში მსახურებსო. სენატორი დამშვიდდა და უკანვე წაიღო თავისი განცხადება.

მრავალი მაგალითია, რომელიც ამტკიცებს, რომ მცხოვრებლებმა არ იციან თავისი უფლებები. მეტად საინტერესოა აგრეთვე, რომ მცხოვრებლების წარმოდგენით საარჩევნო კომისიები ის დაწესებულებაა, სადაც ამომრჩევლებმა უნდა განაცხადონ, რომელ პარტიას ეკუთვნიან და ჩაეწერონ თავის პარტიაში, ამიტომ საარჩევნო კომისიებში ხშირად კითხულობენ ხოლმე: ვის უნდა მივმართოთ აქ, რომ წესიერების პარტიაში ჩამწერონო?

დასავლეთ ევროპის მაგალითი გვასწავლის, რომ სადაც რუსეთისავით რთული საარჩევნო სისტემა ჰმოქმედებს, იქ საარჩევნო ხმის პატრონთა საერთო რიცხვიდან მხოლოდ ათი პროცენტი სარგებლობს საარჩევნო უფლებით. უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთში კიდევ ამაზე ნაკლებ ისარგებლებენ საარჩევნო უფლებით, რადგან აქ ამის გარდა კიდევ ბევრი სხვა საბუთი აქვს ამომრჩეველს, ყური მოიყრუოს და ცივად გაუაროს გვერდზე საარჩევნო ყუთს.

⁂

სომხურ გაზეთ „ჰარაჯ“-ის მე-7 ნომერში გადაბეჭდილია ჩვენის გაზეთიდან საშინელი ამბები დასავლეთ საქართველოს დარბევა-აწიოკების შესახებ. გაზეთს მოჰყავს ეს ცნობები და შემდეგ დასძენს:

> იქ—მაზრებში—ხალხი სისხლსა ჰღვრის, მძიმე ჭრილობების ქვეშ ჰგმინავს. აქ კი—ტფილისში—იმავე ერის თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია შესაძლოთა სცნობს ეროვნულ ოპერის წარმოდგენას, შესაძლოთა სცნობს ეროვნულის სიმღერითა და მუსიკით დატკბობას.
>
> ცეცხლი, სისხლი, აკლება და ოპერით დროს გატარება—აი ორი საწინააღმდეგო მოვლენა, რომელიც ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ როგორ გრძნობენ და აფასაბენ ხალხის სატკივრებს „მოწინავე და ბრძანებელი კლასები“, თუ რამდენად შეუძლიანთ მათ საზოგადო ინტერესებით და მისწრაფებით გამსჭვალვა?!
>
> ეგეც კიდევ საბუთია, რომელიც ნათლად გვიმტკიცებს, რომ ქვეყნის წინმსვლელობის და ცივილიზაციის საქმეში უმთავრეს როლს ასრუ-

---

და ქვეყნებიდან. „საერთაშორისო საზოგადოება“ მაშინვე აცნობებდა ყველას, რომ არავინ არ მიჰქირავებოდა იმ პირს, რომლის ქარხანასა ან ფაბრიკაზედაც გაფიცვა იქნებოდა გამართული. ერთის სიტყვით, მას შემდეგ, რაც საქმეში ჩაერია „საერთაშორისო საზოგადოება“, აღები იძულებულნი ხდებოდნენ, უმეტეს შემთხვევაში, დაეთმოთ მუშებისათვის. ეს აშინებდა და აცოფებდა დამქირავებელთა და ბურჟუაზიას და ამიტომაც ჰკრეს ბუკსა და ნაღარას და მორთეს ყვირილი, აელაგმათ ასეთი მავნებელი საზოგადოება.

პირველად ამ საზოგადოების დევნას შეუდგა საფრანგეთის მთავრობა იმპერატორ ნაპოლეონ მესამის მეფობის დროს. მთავრობამ სამართალში მისცა ერთი მეორეზე ყველა მუშა, ვისაც-კი „საერთაშორისო საზოგადოების“ პარიზელი წევრები ირჩევდნენ თავიანთის საქმეების საწარმოებლად (საჭირო იყო ფულის შეკრება, ახალ წევრების მიღება, მიწერ-მოწერა ამხანაგებთანა და სხ.) ასეთი იყვნენ, სხვათა შორის, ვარლენი და მისი რვა ამხანაგი. როცა სამართალში მისცეს, ამათ კარგად მოილაპარაკეს ერთად, რა უნდა ეთქვათ მოსამართლეთათვის და ყველას სამაგიეროდ სიტყვის წარმოთქმა მიანდეს ვარლენს. ამ წერილის ბოლოში მოყვანილია ვარლენის სიტყვის საუკეთესო და არსებითი ნაწილი.

მაგრამ, სანამ ამ სიტყვას შევუდგებოდეთ, რამდენსამე სიტყვას ვიტყვით თვითონ ვარლენსა და მისს ბედ-იღბალზე.

ვარლენი 27 წლისა იყო, როცა სიტყვა წამოსთქვა მოსამართლეთა წინაშე. ოცის წლისა მოვიდა პარიზს. წერა-კითხვას ძლივ-ძლივობით ახერხებდა. აქ ჩქარა გაიგო, რომ არის ისეთი მოძღვრება, რომელიც ასწავლის, რომ მუშებს შეუძლიანთ და კიდევაც უნდა დააღწიონ თავი თავიანთ მწარე და მძიმე ხვედრს და რომ თვითონ მათზეა დამოკიდებული მათის საუკეთესო მომავლის მიპოება. ვარლენი დააინტერესა ამ მოძღვრებამ, აღძრა სურვილი, რაც შეიძლება მეტი სცოდნოდა და შეუდგა სწავლას. მთელი საღამოები და ზოგჯერ ღამეებიც იჯდა ხოლმე და წიგნებს კითხულობდა, რადგან დღისით წიგნების კაზმვას უნდებოდა. როცა პარიზში დაარსდა საერთაშორისო საზოგადოება, ვარლენი ერთი პირველ წევრთაგანი გახდა ამ საზოგადოებისა. ჩქარა იგი ყველა ამხანაგისთვის პატივსაცემ და საყვარელ ამხანაგად გადაიქცა თავის ჭკუისა და, უმეტესად, საქმისადმი ღრმა ერთგულობისათვის: იგი მუდამ მზად იყო უკანასკნელი ძალაც კი შეეწირნა მუშების საერთო საქმისთვის. რამდენჯერმე კრებებზედაც კი გაჰგზავნეს ამხანაგებმა. ამ კრებაზე თავს იყრიდნენ ყველა ქვეყნის ამორჩეული წარმომადგენელნი მუშებისა და ერთად სჯაბაასობდნენ და სწყვეტავდნენ მუშათა კლასის საქმეს.

1868 წ. ვარლენი, როგორც უკვე ვთქვით, არჩეულ იქნა იმ კომისიაში, რომელიც განაგებდა საერთაშორისო საზოგადოების პარიზის განყოფილების საქმეებს, რისთვისაც მიცემულ იქნა პასუხის გებაში სხვა ამხანაგებთან ერთად. სასამართლომ ყველას სამის თვით ციხე და დაჯარიმება მიუსაჯა.

ციხიდან გამოსვლისთანავე, ვარლენი შეუდგა „საერთაშორისო საზოგადოების“ საქმეებს, მაგრამ ამ საქმეების წაყვანა ძალიან გაძნელდა. რადგან მთავრობა ატუსაღებდა საზოგადოების ყველა არჩეულ წევრს, ამიტომ მუშებმა გადასწყვიტეს, ფარულად ემოქმედნათ და კვლავ აშკარად აღარ მოეხდინათ არჩევნები. საზოგადოება-კი ამასობაში ელვასავით ედებოდა საფრანგეთს და უკვე რამდენიმე ათი ათასი წევრები ჰყავდა სხვა და სხვა ქალაქში. ძლიერ ძნელი იყო ამოდენა წევრების ერთს მთელს ორგანიზაციაში თავის მოყრა, რადგან შეუძლებელი გახდა აშკარად მეთაურების არჩევა. ყველაზე ერთგულად და ენერგიულად შეუდგა ამ საქმეს ვარლენი. ამიტომ იგი ჩქარა საყოველთაო ხელმძღვანელი გადაიქცა, ყველას „სული“ და „გული“, როგორც შემდეგში სწერდნენ იმის შესახებ ამხანაგები. რჩევისა და დახმარებისთვის იმას მიმართავდნენ ხოლმე ყველანი ყოველის მხრიდანა და ქალაქიდან, საცა კი იყვნენ საზოგადოების წევრნი. ის იყო, უმეტესად, გაფიცულთათვის ფულის მოგროვების მეთაური, ის იყო საზოგადოების გაზეთის ყურის მგდებელი და მზრუნველი. ძნელია წარმოიდგინოს ადამიანმა, როგორ ართმევდა ამოდენა საქმეს თავს ისეთი კაციც-კი, რომელსაც შეეძლო მთელი თავისი დრო შეეწირა ამ საქმეებისთვის: ვარლენს კიდევ უნდა ემუშავნა ლუკმა პურის მოსაპოვებლად, პოლიციასაც უნდა დამალვოდა ხშირად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დრო მუდამ ჰყოფნიდა და ორს წელზედ მეტს იდგა იგი საფრანგეთის მუშათა მოძრაობის სათავეში.

ბურჟუაზიამ მოახერხა და ერთხელ კიდევ გაიმარჯვა მაშინ ამ მოძრაობაზე. მუშები იძულებულნი გახდნენ აჯანყებულიყვნენ ისეთ დროს, როცა მათ ჯერ კიდევ არა ჰქონდათ საკმაო ძალა საბოლოო გამარჯვებისთვის.

ვარლენი ამ აჯანყების დროსაც (1871 წლის 18 მარტს) ისეთივე მოწინავე და თავდადებული მუშა იყო, როგორც უწინ; იგი იყო წევრი მუშათა მთავრობისა, რომელიც ორს თვეს განაგებდა ვეებერთელა ქალაქ პარიზს, განაგებდა ყველა სხვა მთავრობაზე უჭკვიანესათ და უპატიოსნესად, და შემდეგ, როცა პარიზში ბურჟუაზიის მიერ გაგზავნილი ჯარი შევიდა, ვარლენი იბრძოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ცოცხალი გადარჩა, მაგრამ მერე დაატუსაღეს ქუჩაში და დახვრიტეს ერთის გენერლის ბრძანებით. სალდათებმა, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ვარლენის დახვრეტა, დიდხანს ატარეს იგი ქუჩა-ქუჩა და უფრო მოხერხებულ ადგილს ეძებდნენ სიკვდილით დასჯისთვის.

მუშების მტერი მეგაზეთე უკან დასდევდა ცნობის მოყვარეობის გულისათვის სალდათებს და დაესწრო ვარლენის სიკვდილს. ის მეგაზეთე ასე სწერდა შემდეგში თავის გაზეთში ვარლენის შესახებ.

„რაც უნდა დანაშაულობა ჩაედინოს იმ კაცს, იგი მაინც მშვიდად მიდიოდა, თუმცაღა იცოდა, რაც მოელოდა, და კვდებოდა ისეთის გამბედაობით, რომ მაყურებელს გული ეტკინებოდა.“ მთელი მისი სიცოცხლე ერთი მაგალითი იყო, ამბობს ვარლენზე მისი ამხანაგი მალონი. „არაჩვეულებრივი მოღვაწე, მუდამ გაბედული მუდამ საქმის ერთგული და ამასთან მეტად წყნარი ვარლენი არასოდეს არა ფიქრობდა თავის თავზე. იმას დიდი ზნეობრივი გავლენა ჰქონდა ყველა ამხანაგებზე. მუშები თავის დღეში არ დაივიწყებენ ამ ადამიანს, რომელიც თავის ამხანაგებისა და ძმებისთვის სცოცხლობდა, ბევრი რამ გააკეთა და სული დალია მათის გულისთვის.

ალ. ლომთათიძე.

(დასასრული იქნება).

ლებს მშრომელი ხალხი და ქვეყნის საზედნიეროდ და ასაღორძინებლად საშინელს მსხვერპლსაც-კი არ ერიდება.

დასასრულ გაზეთი თანაგრძნობას გვიცხადებს:

> ჩვენი მეზობელი ქართველი ხალხი, თავის სამშობლოში, აუტანელს მდგომარეობაში ჩავარდა, სისხლსა და მწარე ცრემლსა ჰღვრის; გულწრფელ სიტყვას ვუძღვნით იმის ნატკენ გულს და მწუხარებას და თანაგრძნობას ვუცხადებთ.

რუსეთი

სტ. სოვ. ფილონოვის გმირობა სოროჩინში. ფილონოვი გაგზავნილ იქმნა სოროჩინში ყაზახთა და გლეხთა შორის მომხდარ შეტაკების საქმის გამოსაძიებლად. აღმოჩნდა, რომ ყაზახები ჰხოცდნენ ხალხს შეტაკების გათავების შემდეგ და ამასთან განურჩევლად, ვინც-კი გზაზე შეჰხვდებოდათ. სტ. სოვეტნიკმა მოსვლისთანავე შეჰკრიბა გლეხები და დაიწყო „გამოძიება“. გამოძიება, ცნობილ მწერლის ვლ. კოროლენკოს სიტყვით, ასე სწარმოებდა: ფილონოვმა გლეხები დააჩოქა, ქუდები მოახდევინა და მოატანინა ორი ზარბაზანი. გლეხებმა ყველაფერი შეასრულეს და იდგნენ ასე თოვლში დაჩოქილნი და ქუდ-მოხდილნი ორი საათის განმავლობაში. ორის საათის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გლეხებს შორის ერია ორი კაცი გიორგის ჯვრით დაჯილდოვებული. ესენი დაითხოვა ფილონოვმა, დაითხოვა აგრეთვე მცირე წლოვანნი და ახლად მოკრებილი ჯარის კაცები. დანარჩენნი-კი დაჩოქილნი იყვნენ 4½ საათის განმავლობაში. დაჩოქილთაგან ფილონოვს გამოჰყავნდა გლეხები სათითაოდ და ჯერ თავის ხელით სცემდა და მერე ყაზახებს აცემინებდა. მერე გამოარჩია ებრაელები, ხელმეორედ დააჩოქა და აცემინა ყაზახებს“. ეს „დაამშვიდა“ გლეხები ფილონმა. ამის შემდეგ არ გაუვლია ორ დღეს და დეპეშა მოვიდა: „სტატსკი სოვეტნიკი ფილონოვი პოლტავაში მოკლესო“.

მოსამსახურე სტუდენტების დათხოვნა. შინაგან საქმეთა მინისტრის დურნოვოს განკარგულებით დათხოვნილ იქმნა 120 სტუდენტი, რომელნიც მსახურებდნენ კურსკ-ხარკოვ-სევასტოპოლის და ხარკოვ-ნიკოლაევსკის რკინის გზებზედ.

მაჰმადიანთა კრება. მაჰმადიანთა კრება დღემდის არ მომხდარა პეტერბურგში. ამათი დეპუტაცია დურნოვოს სანახავად რომ წავიდა, 3 საათი იცადა მისაღებ ოთახში, მაგრამ ნახვას ვერ ეღირსა. ამ ჟამად დეპუტატებს თურმე თვალ-ყურს ადევნებენ და ამიტომ მაჰმადიანთ გადასწყვიტეს კრება ფინლიანდიაში გამართონ. მაჰმადიანთა უმრავლესობამ პეტერბურგსა, ორენბურგსა, ყაზანსა და პენზაში გადასწყვიტა თურმე კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიას შეუერთდეს.

გლეხთა კავშირის წევრების დევნა. „ვეჩ. გოლ“-ს დვინსკიდან მოსვლია ამბავი, რომ იმ გლეხებს, რომელნიც „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის“ წევრებად ითვლებიან, მაზრებში ძლიერ სდევნიან. მარტო ერთ ადგილას 24 გლეხი დაუპატიმრებიათ.

პატიმართა მდგომარეობა. ამ ჟამად პოლიტიკურ პატიმართა რიცხვი იმდენია, რომ კამერებში აღარ ეტევიან. თავისუფალი კამერები სრულებით არ არის. ზოგიერთმა პატიმარმა აღძრა შუამდგომლობა, რომ ცალკე კამერებში გადაიყვანონ, რადგან საზოგადოში მეტად ვიწროობაა და ჰაერი დახშულიაო, მაგრამ ადმინისტრაცია ამ თხოვნას ვერ აკმაყოფილებს, რადგან თავისუფალი ადგილი აღარსად არის.

პროკურორის აზრი. ნოვოჩერკასკის ოლქის სასამართლოს პროკურორს განუცხადებია, რომ ამ ბოლო დროს პოლიციელთ და ჯარის კაცთ თავის უფლებს გადააჭარბეს, რაც გამოიხატა პოლიტიკურ პატიმართა დახვრეტაში იმ დროს, როდესაც დაჭერილები ციხეში მიჰყავდათ. პროკურორს აღუძრავს საქმე ამის შესახებ. მინისტრ აკიმოვს უპასუხნია პროკურორისათვის, ეხლა რევოლიუციონური დროა და ამიტომ მოუხერხებელია ამ სამხედრო პირთა და პოლიციელთა წინააღმდეგ საქმის აღძვრაო. ამიტომ მინისტრის ბრძანებით საქმე მოისპობა.

წერილი რედაქციის მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

გაზეთ „ცნ. ფურც.“-ს 2953 №-ში დაბეჭდილია ვლ. გოგობერიძის წერილი საცხენისის სასწავლებლის იმ მოწაფეთა შესახებ, რომელიც ტფილისს ჩამოსულან წარსულ წლის 13 ნოემბერს. წერილის ავტორი ჩისაყვედურებს, რომ სასტიკად მოვექეცით მოსწავლეთ. სიმართლის აღსადგენად გთხოვთ შემდეგი დამიბეჭდოთ:

9 და 10 ნოემბერს საცხენისის სასწავლებლის მოწაფეებმა, რომელნიც ააღელვეს გარეშე აგიტატორებმა და ხმებმა საერთო გაფიცვის შესახებ, შესწყვიტეს სწავლა და სასწავლებლის საბჭოს წარუდგინეს მოთხოვნა, მოწაფენი დაითხოვეთო და სახლებში გაისტუმრეთო. საბჭომ არ შეიწყნარა ეს მოთხოვნა, ყმაწვილებმა-კი დაამსხვრიეს პანსიონში შუშები, რითაც შეუძლებლად გახადეს პანსიონში ცხოვრება, რადგან ცივი ამინდები იყო და, გარდა ამისა, სასწავლებლის ეზოში გადამდების სენით ავადმყოფი იყო (დიფტერიტით.) ამნაირად სასწავლებლის საბჭო იძულებული შეიქნა დაეკმაყოფილებინა მოწაფეთა მოთხოვნა და, რადგან დრო არ ჰქონდა მშობლებისათვის შეეტყობინებინა, მოსწავლენი თავიანთ სახლებში დაითხოვა. 20 ნოემბერს 12 მოსწავლეს, მათ შორის ერისთავსაც, დაუქირავებიათ მეურმე მახარაშვილი (ტფილისამდე სულზე 1½ მანათად) და ჩამოვიდნენ ჩემთან დასათხოვნ ბილეთების მისაღებად. მოწაფებმა, რომელნიც ტფილისს ჩამოვიდნენ, გადაუხადეს ფულის ნაწილი მეურმეს ჯერ კიდევ სასწავლებელში, ხოლო მეორე ნაწილის გადახდას დაჰპირდნენ ტფილიში ჩასვლისას. თუ ვინმესგან ფულს არ მიიღებდა მახარაშვილი, იმ შემთხვევისათვის თვით სასწავლებლიდან მისცეს მას 4 მან. მოწაფეთა თანად სწრებით. ერთ მოწაფეს (ქუთ. გუბ.) ჯაფარიძეს სამგზავროდ 8 მან. მიეცა, ხოლო მეორემ, ერისთავმა, (ესეც ქუთ. გუბ.) განაცხადა, რომ ტფილისში ნათესავი ჰყავს, რომელთანაც ყოველთვის ჩერდება ხოლმე,- ის გადიხდის ჩემ სამგზავრო ფულს და ქუთაისშიაც გამისტუმრებსო. ყველა მოსწავლენი ირწმუნებოდნენ, ვიცით ჩვენის მშობლების და ნათესავების ადრესებიო და ტფილისში რომ ჩავალთ გადავიხდით დანარჩენ ფულსაო; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არც-კი გაუშვებდნენ სასწავლებლიდან. ამგვარ პირობებითვე ჩაიყვანა მახარაშვილმა მოწაფენი ტფილისს მარტში და არივითარი საჩივარი მაშინ არავის არ გამოუცხადებია. ყველა მოლაპარაკება მახარაშვილთან ბავშვებისა და დამრიგებლების დასწრებით ხდებოდა. მოწაფეებმა 2 ნოემბერს მიიღეს ახალი მაუდის ტანსაცმელი და ისე გაემგზავრნენ. არც ძველი ტანისამოსი ჩაუცმევიათ მოსწავლეთათვის, არც არავის მოუხდენია განკარგულება, რომ ტფილისში მათთვის გამოერთვათ პალტოა, ქუდი და სარტყელი. მახარაშვილს ებრძანა მხოლოდ ტფილისში ჩასვლისას თითოეული მოწაფე სახლში გაეცილებია. როცა ტფილისიდან დაბრუნდა, მახარაშვილმა განაცხადა, მოწაფეებმა უარი სთქვეს ფულის გადახდაზე და გაიქცნენო, მათის ძებნის დრო მე არ მქონდა და არც ვიცოდი სად მეძებნაო; თან მახარაშვილმა 2 პალტო ჩამოიტანა; ამასთანავე განაცხადა, კიდევ მერგება 60 კაპეიკიო, რაც მაშინვე ჩაებარა. ამრიგად მახარაშვილმა ყველაფერი მიიღო, რაც აღთქმული ჰქონდა. რად დასჭირდა პალტოები, ეს იმისმა სინიდისმა იცის. კარცერით დასჯა ან სხვა რაიმე დასჯა, გარდა ზნეობრივისა, სასწავლებელში არ იციან.

დასასრულ საჭიროდ ვრაცხ ვთქვა, რომ ბ-ნ გოგიბერიძის წერილის შინაარსი მხოლოდ იანვარში გავიგე და გაფიცვის გამო პასუხი დამიგვიანდა.

სასწავლებლის გამგე **კ. პოპოვი**

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

24 იანვარი

პეკინი, 24 იანვარი. რუსეთისა და ჩინეთის წარმომადგენელნი სჯა-ბაასობენ რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულობაზე. ამბობენ, რომ რუსეთმა, სხვათა შორის, წინადაუდვა ჩინეთს, გახსნას მანჯურია ყველა ხალხთათვის და მიეცეს მათ ერთნაირი უფლებები და უპირატესობანი. რუსეთი ითხოვს, მიეცეს მას მონგოლიის მთამადნებზე კონცესიები და სავაჭრო უპირატესობანი რუსეთის თურქესტანში, თუ ჩინეთი გაადებს ყალგანისა და ურგას კარებს გარეშე ვაჭრობისათვის. დანარჩენი მოთხოვნები შეეხება ვაჭრობის უფლების მიცემას მანჯურიის იმ სამს პროვინციაში, რომლებშიაც იაპონიას აქვს ნება. ჩინეთი ითხოვს, შეასრულოს რუსეთმა დანაპირები და გაიყვანოს რკინის გზიდან თავისი დამცველები, ვინაიდან იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულობით, მაშინ მოხსნის თავის დამცველებს რკინის გზაზე, როცა ამას რუსეთი შეასრულებს. რუსეთი წინააღმდეგია ჩინეთს გადასცეს 1-ეტეს კონცესიები იალუზე და ამბობს, რომ ზოგიერთი პირობა, აღნიშნული ხელშეკრულობაში, შესაფერს კონცესიას შეიცავსო. ჩინეთის წრეებში ეშინიანთ, რომ რუსეთი თავს მიანებებს შორეულ აღმოსავლეთს და მანჯურიიდან მონგოლიას და ჩინეთის თურქესტანს მიაწყდება და ამიტომ გასაზრახავს იქ სამხედრო ძალას მოუყარონ თავი. ამავე მიზეზითაა, რომ ისეთის დიდის პატივის ცემით მიეგებნენ მონგოლიის მთავრებს, რომელთაც ხარკი მოაქვთ ხოლმე პეკინში. ჩინეთის პრინცი სუ დაინიშნება იმ საელჩოს მეთაურად, რომელიც მონგოლიაში იქნება გაგზავნილი. საელჩოს ძღვენი და სხვადასხვა ძვირფასი ნახატულობა მიაქვს მონგოლიაში (რეიტერი).

სააგენტოს შენიშვნა. ჩვენ ცნობები შევკრიბეთ და ვფიქრობთ, რომ ეს რეიტერის ცნობა ტყუილი უნდა იყოს.

კიევი. კაზატინსკის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით დაითხოვეს სამსახურიდან მთელი შტატი კაზატინსკი რკინის გზის სასწავლებლისა ისე, რომ სამოსწავლო უწყებისათვის არც-კი უკითხავთ.

პარიზი. პროვინციებსა და პარიზში პასუხის გებაში იქნენ მიცემული ის მღვდლები, რომელთაც არეულობა მოახდინეს საეკლესიო მამულების აღწერის დროს და ამით დაარღვიეს კანონი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისა.

მონპელიე. სობორის კარები ჩაამტვრიეს სალდათებმა და ისე შეუდგნენ ქონების აღწერას. ბრბომ წინააღმდეგობა გაუწია და საეკლესიო სიმღერებს მღეროდა. ცეცხლის მქრობელთ გაჰფანტეს იგი.

სენ-კლოდი. (საფრანგეთი) ორ ათასზე მეტმა ხალხმა მანიფესტაცია გამართა მღვდლებისა და, საზოგადოდ, სასულიერო წოდების წინააღმდეგ, ჩაამტვრია ეპისკოპოსის სასახლის კარები და საეკლესიო ნივთები მიდეწ-მოდეწა და გადაჰყარა.

ჰელსინგფორსი, 25 იანვარი. ეროვნულ პოეტის რუნებერგის დაბადების წლის თავზე ქალაქი გაჩირაღდნებული იყო და მშვენივრად მორთული. „მუშათა შეკრების“ საზოგადოებამ ქალაქი შემოიარა ალმებით ხელში.

ბაქო. შუამდგომლობა აღძრეს მუსულმანთათვის სამკითხველოს დაარსებაზე, შესვლა 2 კაპ. ეღირება. ადმინისტრაცია თანაგრძნობით მოეპყრა.

პეტერბურგი. საზღვაო მინისტრის ბრძანებით, საზღვაო უწყების სამსახურში მყოფ პირებს,— თავისუფლად დაქირავებულს, ქარხნის ოსტატებს, საზღვაო სამღვდელოებასა და უბრალო ჯარის კაცებს ეკრძალებათ ჩაეწერონ ან და იმონაწილეონ იმ კავშირებსა, ორგანიზაციებსა და პარტიებში, რომელთაც პოლიტიკური მიზანი აქვთ; ეკრძალებათ აგრეთვე დაესწრონ ისეთს კრებებს, რომლებზედაც პოლიტიკაზე იქნება ლაპარაკი, მაგრამ იმ პირთ, რომელთაც უფლება აქვთ არჩევნებისა, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კრებებზე. სათადარიგოდ გამოსულები და აგრეთვე ისინიც, ვინც მუნდირს ატარებენ, უნდა დაემორჩილონ ამ ბრძანებას.—დაიწყო გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ კომისიაში.

ნეაპოლი. ვეზუვი განაგრძობს ნადნობ ქვაქვიშნარის სროლას. ვეზუვის ახლოს მდებარე ადგილები უშიშარ ყოფილი არიან.

ლიბავა, 25 იანვარი. ვაინედენში საველე სასამართლომ 12 კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, 10 დახვრიტეს, ორი-კი გაიქცა.

ვარშავა, 25 იანვარი. დღეს ღამით კონსკაში, რადომის გუბ. მოჰკლეს თავის ბინაზე ვიტებსკი პოლკის ათისთავი ჩარნეცკი.

მოსკოვი, 25 იანვარი. დეკემბრის რევოლიუციის დროს დაზარალებულთათვის დახმარების აღმომჩენმა კომისიამ ამნაირად განაწილა ფულები: სემენოვის პოლკის მოკლულ სალდათების სამას ოჯახს მისცა 700 მან., 20 მოკლულ ჟანდარმისა, გოროდოვოისა და მეეზოვის ოჯახებს 4750 მან.—მიტროპოლიტის ბრძანებით სასტიკი გამოძიება სწარმოებს ეკლესიების მედავითნეთა მიტინგის შესახებ.

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა ხარბინიდან 24 იანვრის თარიღით: „გუშინ ჩიტაში მოვიდა გენ. რენენკამფი. არსად წვეთი სისხლი არ დაღვრილა. დაუბრკოლებლად აიღეს იარაღი რკინის გზის სახელოსნოების მუშებსა და ოსტატებს. 200 რევოლიუციონერი დაიჭირეს. ზოგიერთნი მიიმალნენ რენენკამფმა გადაყენა გენერალი ხოლშჩევნიკოვი სამხედრო გუბერნატორის თანამდებობიდან უმოქმედობისათვის. ხოლშჩევნიკოვის ადგილზე დავნიშნე გენ. სიჩევსკი. ვლადივოსტოკსა და ხარბინში სიმშვიდეა ჯარში“.—ლინევიჩის დეპეშა ვიტესადმი, ხარბინიდან გამოგზავნილი 24 იანვრის თარიღით: „გენ. არტამონოვი იუწყება ვლადივოსტოკიდან, რომ ციხეში სიმშვიდეა. ჯარში, ხარბინს, მშვიდობიანობაა. დანიის კაბელი ვლადივოსტოკიდან გაფუჭდა. ნაგასაკთან მიწერ-მოწერა შეწყდა“.

სოსნოვიცი. მოჰკლეს დარაჯი გონჩარკა.

ხარკოვი, ადმინისტრაციის განკარგულებით თანამდებობიდან გადააყენეს რამდენიმე საერობო ექიმი.

ყაზანი. პოლიციამ დაიჭირა 170 ბერდანკა, რომელნიც ქარხნიდან იყო გაგზავნილი და უნდა გადაეგზავნათ დანიშნულებისამებრ.

პეტერბურგი. სინოდმა დაადგინა: 1. 1905 წლის 22 ნოემბრის დადგენილება სინოდისა შესახებ სასულიერო აკადემიის ძირითად გადაკეთებისა ახალს საფუძველზე, მოყვანილ იქნას სისრულეში და 2. მიენდოს სამოსწავლო კომიტეტს საჭირო შეთანხმება მოახდინოს აკადემიის არსებულ წესდებაში.

პეტერბურგი. პროფესორები აგიტაციას ეწევიან სასწავლებლების გახსნის შესახებ.

ნოვოროსიისკი. დროებითი გენ.-გუბერნატორი და პროკურორის ამხანაგი სოჩაში წავიდნენ, საცა დღემდე გამაგრებულან რევოლიუციონერები. სოფ. პლასტუნსკოეში. იქიდან გაიგზავნა რამდენიმე ასეული ყაზახ-რუსი.

მოსკოვი, 25 იანვარი. გუშინ დაბრუნდა ტამბოვის გუბერნიიდან ვექილი პლევაკო, რომელიც იქ აგიტაციას ეწეოდა გლეხ-კაცობაში 17 ოქტომბრის პარტიის პროგრამის საზღვრებში. მან ისეთი შთაბეჭდილება გამოიტანა, რომ გლეხ-კაცობა ერთხმად აცხადებს მონარქიულ პრინციპების შენახვის სურვილს და მოუთმენლად ელოდებიან სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას. იუზის ნაწილის მომრიგებელ მოსამართლესთან უნდა გარჩეულიყო საქმე 300 მუშისა, რომელნიც მიტიშჩენსკი ქარხანას უჩივის გაფიცვის ფულებს. საქმე გადაიდო. რადგანაც, შესაძლებელია, შერიგება მოხდეს.

ვარშავა. „კურიერ პორანნი“-ს რედაქტორ ფრიზეს ვარშავის საოლქო სასამართლომ ორის თვის ციხე გადაუწყვიტა. „კურ. ვარშავსკი“-ს სტატიით, გუშინ შეაჩერეს „ვარშავსკი გაზეტა“-ის რედაქტორი დეშნოვსკი და 300 მან. შეტანის შემდეგ, განათავისუფლეს.

ვარშავა. ღამით რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაესხა მაზრის პოსად ბლონში ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას, სასიკვდილოდ დასჭრეს უფროსი გავესკი. მსუბუქად მოხელე გერმანი, მესამე მოხელე შეჰკრეს, წაიღეს 3 ათასი მანეთი და მიიმალნენ.

პეტერბურგი. უსურის გზას აღმოსავლეთ ჩინეთისას უერთებენ. საერო განათლების მინისტრმა ნებართვა ითხოვა, რომ კერძო საქალებო სასწავლებლებს გაუთანასწორდნენ სახელმწიფო გიმნაზიებს მოსწავლეების უფლებებით. ეს გათანასწორება არ შეეხება მასწავლებელთა პერსონალს, რათა თავიდან აიცილონ ხაზინამ მეტის მეტი ხარჯი.

პსკოვი. პოლიციამ დაატუსაღა აგრარულ მოძრაობის აგიტატორები, დაატუსაღეს 29 გლეხი.

სამარა. სამოსამართლო პალატის დადგენილებით დაიხურა გაზეთი „სამარსკაია გაზეტა“.

ორიოლი. „ორიოლსკი ვესტნიკ“-ის რედაქტორს პასუხის გებაში აძლევენ სისხლის სამართლის დებულების მე-12-ე მუხ. ძალით.

ხარკოვი. გარდაიცვალა დამსახურებული პროფესორი კრილოვი.

ბირიუჩი. სასწავლებლის საბჭომ გააგდო ორი მასწავლებელი საერობო სკოლისა, რომელთაც მასწავლებლების რეზოლიუციას მოაწერეს ხელი შესახებ გლეხთა კავშირთან შეერთებისა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 იანვარი

პეტერბურგი. „სლოვო“ იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუვიდა აზრი ყველა 45 გუბერნატორებისა აგრარულ მოძრაობის შესახებ. 18 მათგანს აგრარულ მოძრაობის მთავარ მიზეზად მიაჩნიათ სრული უზრუნველყოფა გლეხ-კაცობისა მიწის მხრივ, დანარჩენი 27-კი იმ აზრის არიან, რომ ყველაფერი რევოლიუციონერ პროპაგანდის ბრალია, ერთის მხრივ და ადგილობრივ ადმინისტრაციისა, მეორეს მხრით.

ბიუროკრატიულ წრეებში ამბობენ, თუ პოლონეთში სენატორის რევიზია დაინიშნა, იმ შემთხვევაში სენატორი კუზმინსკი გაიგზავნება.

„ნოვოე ვრემია“ იუწყება, 24 იანვარს დაარსდა განსაკუთრებული საბჭო, რომელსაც მინდობა არსებულ საგლეხო კანონმდებლობის შეთანხმება 17 ოქტომბრის უმაღლეს მანიფესტსა და 1905 წ. 3 იანვარს ბრძანებასთან.

„ნოვოსტი“ იუწყება, სახელმწიფო საბჭო სახელ. სათათბიროს მოწვევის წინ ერთი თვით ადრე შესწყვეტს მუშაობას იმ პროგრამით, რა პროგრამითაც ამჟამად მოქმედებს. ამ ერთის თვის განმავლობაში იგი აღარ განიხილავს არავითარ ახალს კანონ-პროექტებს და სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის დღეს გამოვა ასპარეზზე, როგორც ზემო პალატა.

პეტერბურგი. ჩვენი კორესპონდენტი ტელეგრაფით იუწყება განჯიდან, „რუს. სააგენტო“-ს ცნობა იმის შესახებ, ვითომც სომეხ ვექილს მოუნდომებინოს მოხელე მუსულმანთა დატუსაღება, რასაც ტფილისელმა ვექილმა არუტიუნოვმა სიცრუე, პროვოკაცია და ფალსიფიკაცია უწოდა, სრულიად მტკიცდება გენ.-გუბერნატორის ოფიციალურის ცნობით, რომლის ბრძანებით გამოძიება სწარმოებს.

ყაზანი, 24 იანვარი. ეპარქიალურ მართებლობის განკარგულებით, დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან სამი მღვდელი, ერთი დიაკონი და ერთიც მედავითნე „გრამოტის“ გავრცელებისათვის.

ბრესტი, 25 იანვარი. რუსის ჯავშნოსანი „ცესარევიჩი“ ლიბავას წავიდა.

ადესა. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ გუშინდელი აფეთქება მოხდა ანარქისტ ნეპომნიაშჩის ოთახში. ისეთი ძლიერი იყო აფეთქება, რომ სამ სართულიანის ფლიგელის ერთი ნაწილი სულ დაინგრა. კოჰპის ყმაწვილი შუაზე გაჰგლიჯა, პატარა ქალი გაჭყლიტა, მძიმედ დაიჭრა ნეპომნიაშჩი და მისი ამხანაგი ჩებოტარევი, ბინის პატრონი და ერთი მეზობელი.

სმოლენსკი. პროფესიონალურ კავშირებს ხურავენ. „სმოლენსკი გაზეტ“-ის ცნობით აღმოაჩინეს მებუდკეების კავშირი და დაიჭირეს 4 კაცი.

ბერლინი. სოფიიდან მოსულ ცნობებით, ოსმალეთსა და ბულგარეთს შორის ძლიერ გამწვავდა ურთიერთობა. პორტა ითხოვს სარევიზიო კომისიის დანიშვნას ოცი დღის განმავლობაში, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაარღვევს 1900 წლის სავაჭრო ხელშეკრულობას, თანახმად რომლისა ბევრს საქონელს, ბულგარეთიდან შეტანილს, ბაჟი ეხსნება. ბულგარეთმა გადასწყვიტა დაუთმოს პორტას.

პეტერბურგი. ოფიციალურის ცნობებით, მოსკოვში, დეკემბრის აჯანყების დროს, მოკლულია 408 და დაჭრილი 657 კაცი.

რიგა. დალენის მამულების მიდამოებში დამსჯელმა ექსპედიციამ 15 აჯანყებული დახვრიტა. ბევრი „დაროზგეს“. გადასწვეს გლეხების 9 სახლ-კარი. წაიღეს რამდენიმე ასი სხვადასხვა იარაღი.

ეკატერინბურგი. ახლად გაწვეულ ჯარისკაცთა და ყაზახ-რუსებს შორის შეტაკება მოხდა. დაიჭრა ოთხი ყაზახ-რუსი. დამნაშავენი გარეშე პირებია.

ბობრუისკი. დაბა შჩედრინში იარაღით დაესხნენ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასა და სარაყე დუქანს და წაიღეს 3 ათასი მანათი.

მიტავა. ძალად გაიტაცეს ვოლოსტის მწერალი. ფიქრობენ, რომ იგი მოჰკლეს კიდეც.

ბახმუტი. სოფ. კრემენსკში წინააღმდეგობა გაუწიეს გლეხებმა პოლიციას, რომელიც დაძარცვულ ხე-ტყის წასაღებად მივიდა. დაიჭირეს 4 გლეხი. ხე-ტყე ყაზახ-რუსებმა წაიღეს.

კერჩი. რევოლვერით დასჭრეს ბოქაულის თანაშემწე ევრეისკი. დამნაშავე მიიმალა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

5 თებერვლიდან საშუალო სასწავლებლების მოწაფეებისათვის გაიხსნება **სარეპეტიციო კლასები**; აქვე ამზადებენ სიმწიფის ატესტატისათვის და ასწავლიან ახალ ენებს (ფრანგული და გერმანული) მოლაპარაკება შეიძლება ელისაბედის ქუჩაზე, სახლი № 17, ბინა შარაშიძისა. (5—1)

ქალაქ ბათუმში

ექვთიმე ბერძენიშვილი და ახილეს დიმიტრიადი ყიდიან საუკეთესო აბრეშუმის თესლს ხრისტოდულიდის ფირმისას და იმათ აქვს საწყობი ქ. ბათუმში ქუთაისის გუბერნიისათვის, რამდენიც საჭირო იქნება.

ს. ხრისტოდულიდი. (8—2)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—23)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას **სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის **პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ,** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

1906 г. ОТКРЫТА ПОДПИСКА на историческій журналъ 1096 г.

„БЫЛОЕ“

Журналъ будетъ издаваться подъ редакціей В. Я. Яковлева-Богучарскаго и П. Е. Щеголева, при ближайшемъ участіи В. Л. Бурцева.

Журналъ внѣпартійный и посвященный исторіи освободительнаго движенія въ Россіи. Издаваться онъ будетъ по слѣдующей программѣ:

1) Статьи и изслѣдованія по исторіи освободительнаго движенія въ Россіи.
2) Біографіи дѣятелей движенія, воспоминанія о нихъ, ихъ собственные мемуары, дневники, письма, статьи, стихотворенія и проч.
3) Документы и другіе матеріалы, касающіеся движенія.
4) Отдѣльные факты и эпизоды изъ исторіи движенія.
5) Историческая библіографія.
6) Современная лѣтопись (регистрація главнѣйшихъ фактовъ современнаго движенія.

Въ журналѣ будутъ помѣщаться портреты дѣятелей освободительнаго движенія и рисунки, изображающіе различные эпизоды изъ исторіи движенія.

Въ журналѣ принимаютъ участіе:

М. А. Антоновичъ; кн. А. М. Аргутинскій-Долгоруковъ; М. Ю. Ашенбреннеръ; В. Я. Богучарскій; В. Л. Бурцевъ; И. П. Бѣлоконскій; С. А. Венгеровъ; В. В. Водовозовъ; М. О. Гершензонъ; В. С. Голубовъ; Л. Я. Гуревичъ; Н. С. Джабадари; С. Я. Елпатьевскій; А. И. Иванчинъ-Писаревъ; С. А. Ивановъ; Д. А. Клеменцъ; А. А. Корниловъ; В. Г. Короленко; В. Ф. Костюринъ; Е. Д. Кускова; М. К. Лемко; Г. А. Лопатинъ; О. С. Любатовичъ; Е. А. Ляцкій; В. П. Махновецъ (Акимовъ); П. М. Милюковъ; Н. А. Морозовъ; Н. П. Павловъ-Сильванскій; Л. Ф. Паттелѣвъ; М. Р. Поповъ; А. П. Прибылева-Корба; А. С. Пругавинъ; С. Г. Сматиковъ; В. И. Семевскій; А. В. Тырковъ; М. Ф. Фроленко; кн. Д. И. Шаховской; П. Е. Щеголевъ; В. М. Хижняковъ; В. Е. Якушкинъ и проч.

Журналъ будетъ выходить, начиная съ января 1906 года, ежемѣсячно книжками, въ 20 печатныхъ листовъ каждая.

Цѣна съ пересылкой и доставкой: на годъ—8 руб., на ½ года—4 руб., на 3 мѣс. 2 руб.

Подписка принимается въ канторѣ журнала: С.-Петербургъ, Спасскій переулокъ. домъ 5, кв. 1. Книгоиздательство „Донская Рѣчь“.

Адресъ редакціи: Спасская улица, д. 25, кв. 20. Для личныхъ объясненій съ редакторами—ежедневно (кромѣ праздниковъ) отъ 2 до 3 час. дня.

Редакторы { В. Я. Богучарскій. П. Е. Щеголевъ.

Издатель Н. Е. Парамоновъ. (Э.—5—1)

სწრაფმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. განჯის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.